

# საბავშვო ბიბლიოთეკა





# „პიონერის“ ხელის მთავართა საუბრაღლები!

„პიონერის“ რედაქციაში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილებზე იწერენ უურნალს, მაგრამ ხელის მომწერლები მას არ ღებულობენო, რომ ასეთ შემთხვევებს მომავალშიაც არ ექნეს ადგილი, რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს აცნობონ მას (რედაქციას) უურ. გამოწერის ქვითარის № (ნომერი) და რომელი ნომრიდან არ მიუღიათ უურნალი.

აგრეთვე ხელის მომწერლები ფულს ხშირად სხვა მისამართით აგზავნიან, რასაც ზოგჯერ ჩვენი უურნალის გამომცემლობა ვერ ღებულობს. მიუხედავად ამისა, უურნალს მაინც რედაქციიდან მოითხოვენ. მომავლისათვის უურნალის გამოწერა შეიძლება ყველა ადგილობრივ ფოსტის კანტორაში, სახელგამის წიგნის მაღაზიებში და პირდაპირ რედაქციიდან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი, „პიონერის“ და „ნაკადულის“ რედაქციას.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა, უურნალის საკითხთან დაკავშირებული, ამ მისამართით უნდა იქნას წარმოებული.

უურ. „პიონერის“ რედაქცია

### ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1. პატარა მებრძოლი ჩან-ლი—კ. ლორთქიფანიძის . . . . .	88	2	6. ნახევარი საუკუნე რევოლუციის სადარაჯოზე . . . . .	17
2. მამებს—ლექსი—თ. ჩქარეულის . . . . .	6	7	7. ჩვენი ძმები მსოფლიოში . . . . .	18
3. გახსოვდეთ—ლექსი - კ. ლორთქიფანიძის . . . . .	6	8	8. ბანაკი—მ. გორგაძის . . . . .	21
4. ახალი გზით—დ. შენგელაიასი . . . . .	7	9	9. ზაპესი—კ. ლელსი . . . . .	22
5. ბანაკად ცხოვრება (პიონერის დღიურიდან) . . . . .	13	10	10. თამაშობანი . . . . .	24



329.152(05)

3-47.



მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად

# პიონერი



1927

განათლების სახელმწიფო უწყისათვის სტეფანოპოლის ალბრტის მთავარმარ-  
თელნიშის და სპორტთელის შ. კ. თ. ცენტრალური მიერთის (საფ. ა. ლ.  
კომპაგნიის) ცეკასთან) აქრნალი მაგნიფისათვის

წელიწადი II

№ 14



სოფლის პიონერის საქმიანობა ოჯახში.





# პატარა მებრძოლი

## ჩან-ლი

რიქმა ჩანლი ცამეტი წლისა არის; გამხდარი, ყვითელი სახით და ვიწრო კროლა თვალებით.

ზის ნავსადგურის კიბეებზე, ფეხები წყალში გადაუკიდია და ფიქრებში გართული პატარა თმის ნაწნავს სრესს თითებით.

სალამოა, ნაპირებთან პატარა ტალღები ჩხრიალებენ. გაჩირადნებული ნავსადგურის სინათლე იფრქვევა ზღვაში, სადაც ხრიალით და გუგუნით დაქროლავენ ნალმოსნები.

შორიდან, ნახევრად ზღვის ნისლში გახვეული, მოსჩანს უზარმაზარი საომარი გემი. ბაქანზე ფუსფუსობენ მეზღვაურები და ნაპირს ყრუდ ახწყვს ბოცმანის ამოძახილი.

ვევებრთვლა მკლავებივით აშვერილი მიღები აკომლებენ ცას.

გემი გუშინ მოვიდა შორეული ქვეყნიდან და მოიყვანა... ჩანლიმ არ იცის, რა უწოდოს იმ ხალხს... ნადარი?.. ცოტაა, ნადირს სად შეუძლია აწვალოს ისე ადამიანი, როგორც მათ. ისინი უფრო მეტი არიან, და ჩანლი მოკვდებოდა, ხელებს მოიჭრიდა, ოღონდ ეს გემი არ მოსდგომოდა მათ ნაპირს.

\* \*

ჩანლის ჰყავდა მამა. ის მუშაობდა ჩაის პლანტაციებზე. უდიერად ეპყრობოდნენ, სცემდნენ და ხშირად, როცა სხვა მუშები ისვენებდნენ, ჩანლის მამას პაპანაქება სიცხეში ორად მოხრილს ამუშავებდნენ.

რატომ? კარგად არ იცოდა ჩანლიმ. ერთხელ უთხრა ვილაკამ: მამაშენს იმ ხალხთან აქვს კავშირი, რომელიც თეთრკანიანებს და ჩან-ძო-ლინს ეჯავრებათ. ეს იყო და ეს. მერე განა ამისთვის უნდა აწვალონ ადამიანი!

ვინ გასცემს პასუხს ჩანლის?

ირგვლივ ღამეა და ნაპირთან მომსკდარი ტალღები ჩხრიალებენ. ტალღებს არა აქვთ ენა, თორემ ისინიც იტყოდნენ, თუ თეთრკანიანების მიერ ნაწამები რამდენი ჩინელი მუშა წაუღიათ უფსკრულისაკენ. არავინ არის პასუხის მომცემი.

ჩანლი ცდილობს ერთად მოუყაროს თავი აწეწილ ფიქრებს და გაერკვიოს, მიხვდეს ყოველივეს.

ჰო, ჩანლი დიდი სიამოვნებით, წარბშეუხრელად მისცემდა ხელებს მოსაჭრელად, ოღონდ ის გემი არ მოსდგომოდა მათ ნაპირებს.

გუშინ მოვიდა ის გემი... გუშინ...

ნეტავ არ მოსულიყო!

ჩანლიმ ამოიოხრა და მძიმედ გააქნია თავი, თითქოს სურდა მოეშორებინა მძიმე ფიქრები.

შუალამე იყო, როცა გემმა ამ ნაპირებთან ისროლა ღუზა. ჩანლი დაასრიალებდა ეტლს და ელოდა მუშტარს. გემიდან გადმოვიდნენ ოფიცრები, მათ ბალახის ფერი ტანისამოსი ეცვათ, მკერდი სავსე ჰქონდათ ბრჭყვიალა ნიშნებით.

იმ ღამით ჩანლიმ შეამჩნია, რომ ქუჩებში შემკირდა მოსიარულე ხალხის რიცხვი. ხვდებოდა თითო-ოროლა აჩქარებულ და აღელვებულ მგზავრებს. ქუჩის ბოლოებზე დადიოდა დარაჯთა გაძლიერებული რაზმი. ისინი ზანტად აბოლებდნენ თუთუნს და ღამის დუმილში მკაფ-ოდ ისმოდა მათი ნაბიჯები. შინ მიმავალი ჩანლი მილიდინებდა და ცნობის-მოყვარეობით ათვალისწინებდა მათ მხარზე გადაკიდებულ იარაღს.

დალლილს მალე ჩაეძინა ძილში ხედავდა გემს, თვალუწვდენელ ოკეანეს და ხელებს უშვერდა შორეულ უცნობ ქვეყნებს, რომლებიც მის ბავშურ გონებაში ათასნაირი წარმოდგენით იყო ასახული.

ჩანლის სახლი ქალაქის ბოლოში დგას. უკან პატარა ეზო აკრავს, შემდეგ იწყება ჩაის და ლერწმის პლანტაციები.





თენდება. სუსტი ნიავი აშრიალებს ლერწმებს. არაფერი, არაფერი არ მეტყველებს უბედურების შესახებ. ყველას სძინავს...

უცებ კარებზე ისმის მძლავრი კაკუნი. შეშინებული ჩანლი თვალს ახელს, კაკუნი კვლავ მეორდება, უფრო მკაფიოდ ისმის ბრძანების ხმა.

— კანონის სახელით გიბრძანებთ გააღოთ.

ჩანლი აღვიძება საჩქაროდ მამას. მამა დგება; შეილის თვალებმა შენიშნა მამის სახეზე მომხდარი ცვლილება: თვალები დაფეთებულივით მიაწყვიტა კედლებს, თითქო რაღაცას ეძებს. შემდეგ თავსასთუმიდან შეკრული ქაღალდები გადმოიღო, იატაკის ფიქარი ასწია და შიგ ჩაალაგა; ზევიდან ქილოფი გადაათვა და დაშვიდებული სახით გასწია კარებისაკენ.

ოთახში ოფიცრები შემოვიდნენ.

ყველაფერი გაჩხრიკეს, გადმოანგრიეს და შემდეგ წაიყვანეს მამა.

— მამა, სად მიხვალ? — თრთოლვით წაილულ-ლულა ჩანლიმ და ხალათის კალთები დაუჭარა. მამამ მოხვია მკლავები, უბღბზე აკოცა და უთხრა: ჭკვიანად იყავი, მე მალე დავბრუნდებიო.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მიბრუნდა და ხელები სახეზე დაიფარა.

ჩანლიმ შეამჩნია მამის თვალებზე ცრემლები.

— რას უცდით? — მოესმა გარედან ოფიცრის გაჯავრებული ხმა. ამ ხმაზე ჩანლის მამა შეტორტმანდა, თვალი გადაავლო ოთახს და სწრაფად გამოვიდა გარეთ.

წაიყვანეს.

იმ წამიდან ჩანლიმ ვერ მოისვენა, მიატოვა ეტლი, მთელი ღღე უაზროდ დაეხეტება ქალაქის მტერიან ქუჩებში. აზრი და მიზნიდველობა დაეკარგა ყოველივეს.

— რატომ არ ბრუნდება მამა! — ფიქრობს ჩანლი და ბრაზმორეული თვალებით შესცქერის გემს, რომელმაც შემოიყვანა თეთრკანიანი ჯალათები.

— რათ დაიჭირეს, რას ერჩოდნენ!

უძნელდება პასუხი, გულის კუნჭულში გრძნობს რაღაც გარდაუვალ ხრამს, რომელიც მათსა და ოფიცრებს შორის არსებობს, მაგრამ ამით ვერ კმაყოფილდება მისი გონება და ცდილობს ნათლად და გარკვევით წარმოიდგინოს ეს ხრამი.

უეცრად რაღაც მოაგონდა.

წამოხტა და სირბილით სახლისკენ გასწია.

შორიდანვე, სახლთან ოფიცრები შენიშნა, რომლებმაც დილით მამამისი წაიყვანეს. იქვე შესავალ კარებთან - ჯარისკაცები თოფებით.



ჩანლიმ აყარა ფიქარი და იქედან ამოიღო ფურცლები და ჩანთა.

— ნეტავ რა უნდათ! — გაიფიქრა ჩანლიმ და გასწია კარებისკენ, მაგრამ შუაგზაზე შეჩერდა. უნებურად იქვებმა გაურბინა.

— ეგება არ შემისვან, ან ვინმე შემაყოლონ ოთახში, მაშინ?

ოფიცრების ახლო მანდარინების ხშირი ბუჩქები იყო. მოტრიალდა და ბუჩქებს შეეფარა.

ოფიცრები საუბრობენ:

— გაჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ უნახეს, უთუოდ მოასწრო ბარათის დამალვა!

— შეიძლება კიდევ მოასწოროს კომუნისტური პროკლამაციების სხვებისთვის გადაცემა ან გავრცელება.

— არა, ყველაფერი აქ არის; საჩუქუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ის ამ ჩინელს აქვს შენახული. ბუჩქებში ჩანლი შეირხა.

— ვინ არის? — მოისმა ხმა.

ჩანლი გაინაბა.

— ძალლი იქნება, — დაამშვიდა მეორე.

ჩამოსხდნენ, გააბოლეს.

— ქაღალდებს ეძებენ, რომელიც მამამ იატაკში დამალა! — გაურბინა ჩანლის თავში და ფრთხილად გამოცოცდა ბუჩქებიდან, ცოცვითვე გაეშურა კედლისაკენ, რომელსაც პლანტაციებისაკენ ჰქონდა პირი, ნელა მოსწია თანჯრის ურდული; მოისმა პატარა ხმაური, თანჯარა გაიღო. ოთახში დაგროვილმა სიბნელემ ჩაყოლა ჩანლი.



ეროვნული  
წიგნობა

გავიდა ნახევარი საათი.

კარებთან მჯდომი დარაჯები შეკრთენ.

— ვილაც დაიარება ოთახში! — წარმოსთქვა ერთმა და შეაღო კარები. იმავე წუთში მოისმა ხმაური, თითქო მძიმე ლოდი დაეცა იატაკს. დარაჯმა შიშისაგან კარებისკენ დაიხნა.

ფანჯრის ჩარჩოზე კატასავით ახტა ლანდი და, სანამ დარაჯი გონს მოვიდოდა, სიბნელეში მიიმალა და გაქრა.

სანთელი აანთეს. ასეთი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ოთახის შუაგულში ვილაცას აეყარა ფიცარი. მოსჩანდა პატარა ხვრელი. იქვე ეგდო თეთრი ქალაღი.

— ეშმაკმა წაიღოს, როგორ გაუშვით! — წაილაპარაკა ერთმა და ქალაღს დასწვდა.

— პროკლამაციაა, სიჩქარის დროს დავარდნია.

საჩქაროდ ხვრელთან მივიდა, ყველა კუთხე გასინჯა და ნაღვლიანად გააქნია თავი.

— არ არის, აქ ინახებოდა უთუოდ კომუნისტების მუშაობის გეგმები, ჩვენ კი გარეთ ვუცდიდით და ველოდით, სანამ თვალსა და ხელს შუა მოგვეტაცებდენ! აბა, მდევარი, ჩქარა! შორს ვერ წავიდოდა.

ამ დროს ქალაქის დიდ გზაზე ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა ჩანლი, ილლიის ქვეშ ამოედო პატარა ჩანთა, ქალაღებით სავსე, რომლის შინაარსი და მნიშვნელობა არცაი იცოდა.

\* \*

ჩანლი დაიდალა, მშობლიურ ქალაქს კარგა მანძილით მოშორდა. საფრთხეს ასცილდა.

გზიდან გადაუხვია, ხის ძირს ჩამოჯდა და ჩანთიდან ქალაღები ამოალაგა.

— უთუოდ ძლიერ საჭირო ქალაღებია, თორემ ისე გაფაციცებით არ დაუწყებდა ძებნას ოფიცერი, — გაიფიქრა ჩანლიმ.

— ყველა ერთნაირი ყოფილა, — წაილაპარაკა როცა რამდენიმე ქალაღი გადაათვალიერა და ერთიღამივე მსხვილი ასოებით დაწერილ სიტყვებს მოჰკრა თვალი.

— ძირს იმპერიალისტური მტაცებლები, ძირს ინგლისელები, რომლებიც სისხლს სწოვენ ჩინეთის მშრომელ ხალხს; ძირს იმპერიალისტების აგენტი — ჩან-ძო-ლინი, რომლის მძიმე უღლის ქვეშაც ვიტანჯებით ჩვენ; გაუმარჯოს ჩინეთის რევოლუციას... და სხვ.

ასეთი ქალაღები უწინაც უნახავს ჩანლის. ისინი ხშირად ქალაქის კედლებზე იყო გაკრული. ქალაღები შეჰკრა და ისევ ჩააწყო ჩანთაში.

— ეს პროკლამაციები ჰქონდა მამას, ამის გულისათვის დაიჭირეს...

ჩანლი წამოხტა; ვის უნდა გადასცეს ყველა ესენი მან? უნდა საჩქაროდ წავიდეს, უნდა მონახოს, რათაც გინდა დაუჯდეს, ვინმე კომუნისტი და მისცეს მას.

გული აუთრთოლდა; ვის ჰკითხოვს, ვინ მისაწავლის; უნუგეშოდ მიიხედ-მოიხედა, თვალები გაუნათლდა.

შორიდან მომავალი ცხენოსანი შენიშნა; სირბილით გაეშურა, გზა გადაუჭრა და მოკრძალებით ჰკითხა:

— ძია, უხანი შორს არის აქედან?

მხედარმა გაიღიმა.

— უხანი? რა გინდა მერე იქ?

ჩანლი დაიბნა; უთხრას მართალი? შეიძლება მხედარიც ერთი იმათაგანია, რომლებმაც მამა წაართვეს!

— საქვე მაქვს, — სცადა კითხვის მოჭრა და თვალები დახარა.

— იქ ომია ახლა, შენებრ პატარასათვის საშიშია წასვლა; მამა გყავს?

ჩანლის ცრემლები მოერია და წაილულლულა:

— კი.



მხედარმა უკან შემოისვა ჩანლი.



—მერე სალ არის?

— დაიჭირეს.

— რატომ?

გუშინ ოფიცრები მოვიდნენ ჩვენთან; სახლი გაჩხრიკეს; მამა თან წაიყვანეს!

მხედარი ცხენიდან ჩამოხტა.

— საბრალო!—წაილაპარაკა და თავზე ხელი გადაუსვა.

— მერე უხანში ვისთან მიდიხარ, ნათესავი გყავს?

— რომელიმე კომუნისტი მინდა ვნახო.

მხედრის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა: საიდან იცის ამ პატარამ კომუნისტების სახელი, ან რა უნდა მათთან.

— მეც იქ მივდივარ, წაგიყვან, —უთხრა მხედარმა. ჩანლიმ თავი ასწია.

— შენც იმათი ხარ?

— ჰო.

მხედარს ღიმილი მოერია;

— რა გინდა მათთან?

— აი ეს ჩანთა უნდა გადავცე; მამას უნდა წაეღო იქ, მაგრამ ვერ მოასწრო და იატაკში დამალა; მე მოვიპარე:

მხედარმა ფართედ გააღო თვალები...

— ყოჩაღ, ბიჭუნო!—შესძახა უცებ, მსწრაფლ დაავლო ხელი ბავშვს, უკან შემოისვა და გაქუსლა ცხენი.

\*  
\*\*

რამდენიმე საათის შემდეგ ჩანლი გაბრწყინებული სახით უყვებოდა თავის თავგადასავალს კომუნისტებს, უეცრად ლაპარაკი შესწყვიტა და თავი დახარა;

— რა დაგემართა, ბიჭუნო!—აღერსით ჰკითხა ერთმა.

— მამა...—მოწყენით წაილულლულა ჩანლიმ.



რამდენიმე საათის შემდეგ ჩანლი გაბრწყინებული სახით უყვებოდა თავის თავგადასავალს.

— ნუ გეშინია, ბიჭუნო, მალე დავიხსნით მაშენსაც:

ჩანლის ღიმილი მოერია; სახეზე სიხარული აუთამაშდა...

კ. ლორთქიფანიძე.



# მ ა მ ე ბ ს.

თუ ოდესმე თქვენი მკლავი  
 მძიმე შრომით დაიღალა,—  
 გესმით, მზად ვართ, რომ შევცვალოთ  
 თქვენი მკლავი და ჭალარა!

თუ ოდესმე წუთით მაინც  
 შეგეპარათ გულში შიში,—  
 შემოგვხედეთ, ჩვენი სახე  
 მწუხარებას გადაგიშლით.

ვიცი, გვახსოვს: ეს ღიმილი,  
 ჩვენს ტუჩებზე რომ ჰკიდია,

თქვენ, მამებო, მეომრებო,  
 ჩვენთვის სისხლით გიყიდიათ.

ვიცი, გვახსოვს ქარიშხალი,  
 რომელიც თქვენ გაიპაეთ;  
 გაგამხნევებთ, ჩვენ შოგირჩენთ  
 ყველა წყლულებს და იარებს.

და ოდესმე ეს ცხოვრება  
 თუ დაგვატყდა შავ ვარსკვლავად,  
 თქვენთან ერთად ბრძოლისათვის  
 ჩვენც მზადა ვართ, ჩვენც მზადა ვართ.

თ. ჩქარეული.

# გ ა ხ ს ო ვ დ ე თ!

ყოველთვის, როდესაც სახლისკენ ბუნდები  
 და შინ სიყვარულით მშობელი მიგელის,—  
 შენ უნდა გახსოვდეს, შენ უნდა გახსოვდეს,  
 თუ როგორ იტანჯის პატარა ჩინელი.

მისთვის ოცნებაა დღეს შენი ცხოვრება,  
 ცრემლებით სავსე აქვს მოყვითლო თვალები;

შენ უნდა გახსოვდეს, რომ ისეთებისთვის  
 საჭირო იქნება მაგ შენი მკლავები.

დღითაც და ღამითაც, სწავლის და შრომის დროს,  
 შენ უნდა გახსოვდეს, შენ უნდა იცოდე —  
 შორეულ ჩინეთში მძვინვარებს ომი და  
 ცდილობენ იპოვონ შეება და სიცოცხლე.

კ. ლორთქიფანიძე



ინგლისელი პიონერების დელეგაცია, რომელიც ახლახან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.



# ახალი გზით

სოფელი ბევრეთი, მთის კალთა რომ იზღვება, იქ არის გაშენებული.

ის თვალუწვდენ სიმაღლეზეა ატყორცნილი და კიდევ უფრო მაღლა ზეციდან დასცქერის მას კამეჩბივით დაყუდებული მთები: საწკებელა, ლომისის მთა და მაყვლიანი სერი.

მიწა საკმაო არ არის, და გლეხები ჰკაფავენ, სწვავენ ტყეს და ისე შოულობენ საწკებელას დაქანებულ ფერდებზე ნაბდის სიფაქთე სახნავ სათესს.

ამიტომ გლეხები უმთავრესად ქალაქში შეშისა და ნახშირის ზიდვას ეტანებიან.

აღრიანი შემოდგომით და ხშირად მარიამობის თვეში, როცა აწანწალებული ღრუბლები ცად ახოხდებიან და ყველაზე ზუნს საწკებელას, ლომისის მთასა და მაყვლიანი სერს შემოებევიან, ისე ჩამოიხუთება აქაურობა, რომ ხმა აღარ წკრილობს სივრცეში და მზე იკარგება ისე, თითქოს ის არასოდეს არ ამოვა.

ასე დგანან ნისლშემოხვეული მთები ლურჯად და გამარცხული ტყე ხმაურობს გულჩათხრობილად. ხანდახან მგელი თუ გაღირბენს სოფლის გარეთ, ყურცკიტი ძაღლები აყეფდებიან, აყაყანდებიან, და ყეფა იგი წავა მთებიდან მთებში გადატყორცნილი გამომძახილის გამომძახილებად. სადმე მოხეტიალი მეწყერი თუ მოსკდება და ტყე აგუგუნდება ქარში, კრაკუნობს იგი, ხროტინობს ხელი ტოტებით, იღეწება, და მთის პატარა უსახელო მდინარე მიჩხრიალობს სახლის ოდენა ლოდებში რძესავით აღუღებულად.

შუაღამათ სიმშლით აწანწალებული მგელი თუ აღმუვდება გომურებთან, მაშინ სოფელში ატყდება ძაღლების ყეფა, ხალხის ყვირილი, თუ ვინმეს თოფი აქვს, ისერის, სროლა წავა მთებში, დაიკარგება და მერე ისევ ბნელი, გულჩახვეული ნისლიანი ზამთრის ღამე და ქარის ტირილი გამარცხულ ქანჭურის ტოტებში.

სანამ ზაფხულია, გლეხები თავაუღებლად მუშაობენ, თუ ვინმეს მიუვალ მთის კალთებზე ხელის გულისოღენა მიწა აქვს, იქ დადგმული ჯაუურების <sup>1)</sup> ჩამოტანას იმდენი ჯაფა სჭირდება რამდენიც ააი



რ.ბ

ღლის მიწის დამუშავებას, და გლეხს არა აქვს მოსვენება.

ყანებს ურმები ვერ უდგება, მთებში საშიშია: დაგორდება და ამიტომ ზაფხულში ტყიდან და ყანებიდან შეშასა და ჯიაურებს მარხილებით ეზიდებიან. მეტი უშიშრობისათვის დატვირთულ მარხილებს უკან უზარმაზარ გაუსხლავ ნალოებს <sup>2)</sup> უბამენ და ისე ჩამოაქვთ მთებიდან ნელა.

ზოგი პურსა მკის, ზოგი ტყეში შეშასა სჭრის და ზოგი კი შორს არის ორმოზე წასული ნახშირის დასაწვავად.

დედაკაცები სახლში ჯარასავით ტრიალებენ და პურს კალოზე ლეწენ. თუ ვერ მოასწრეს და ცხელი ღღებით დროზე ვერ ისარგებლეს, ავადარი მოუსწრებს, გაულეწავი დარჩებათ და მაშინ ზამთრის მოყინულ ღღებს უნდა უცადონ, რომ ძნები ყინულზე გაშალონ და ისე ლეწონ. ამიტომ, სანამ დარებია, ყველა ჩქარობს, და ისმის კალოებზე „ჰოროველა“, კევრის შრიალი და წამოსეული ქათმების გარეკვა.

— ჰაი, ხეავი და ბარაქა თქვენ კალოსა, ხეავი და ბარაქა!.. გადმოსძახებს მეზობელი და ოფლად გაღვრილი მკერდგადღილი გარეკაცი უპასუხებს:

<sup>2)</sup> ნალო— დიდი ხე, რომელსაც ურეის ან, მარხილს უკან უბამენ, რომ მთებში ურემა არ დაგორდეს და პირუტყვი არ დააზიანოს.

<sup>1)</sup> ჯიაურა— ძნა ან ზვინი.





—ჰაი, გავიმარჯოს!.. დაერეკება კამეჩებს კალოზე და ზუზუნებს „ჰოროველას“.

საწყვეპელას მთაზე რომ ახვალ, იქიდან მოსჩანს ხელისგულივით მთელი თრიალეთი, ქსნის ხეობა, ტფილისის მიდამოები და მთებში ჩაფენილი სოფლები, საძოვრებით და ყანებით: ლელობანი( ტაბარუკები ძირს არის, არ სჩანს), ბევრეთი, ნახშირგორი, პანტიანები, ლასტიციხე, თონეთი, ქაროდლი, ბეთანია, გუმბათიანი, და შორს რძესავით აორთქლილ გახურებულ მიწის ალში კოლოფებივით ჩახვავებული ტფილისი იხუხება მზეზე.

მცხოვრებნი მართლაც რომ ტაბარუკები<sup>1)</sup> არიან. ყანის მუშაობას მორჩებიან თუ არა, მაშინვე ცულებით, თოკებით, ჯამბარებითა და სატყეოდან გაცემული მოწმობით მირბიან ტყეში, რომ შეშა დაახვან, ნახშირი დასწვან და მერე ყველაფერი ეს, სანამ წვიმებსა და თოვლს დაიწყებდეს, ჩაიტანონ ძირს ძველის-ძველ დაქცეულ სოფელ მაჩხანთან, იქ, სადაც წისქვილებია, რომ მერე იქიდან უფრო ადვილად ზიდონ მთელი ზამთრის განმავლობაში ქალაქში, ატარონ ქუჩა-ქუჩა და იძახონ:

—დრავა, დრავა!.. ჰაი, შეშა!..  
—ნახშირი—უგლე—ეიი!..

როცა ეს სოფლის უღალზე<sup>2)</sup> მიმავალი გზა თოვლითა და წვიმებით ატალახდება, მაშინ გლეხები თავიანთ ხარებს განსაკუთრებული წვეტიანი ნალეებით სჭედენ, რომ საქონელმა შაყინულ გზაზე ფეხი კარგად მოიკიდოს და მოხერხებულად იაროს.

რამდენიმე სოფელი შეერთდება და მიდიან ერთად, ცუდ გასავალ გზაში მთელ საქონელს ერთ ურემში შეაბამენ და ისე გადააქეთ იგი თითო-თითოდ, რიგ რიგად და ასე ერთი დღის სავალ გზას ისინი სამ დღე-ღამეს უნდებიან.

მიკრიალებს ურემები სიჩუმეში, ირგვლივ ყველაფერი თოვლით არის დაფენილი და ყველგან დუმილია. ხანდახან სადმე ნადირი თუ გაიფაჩუნებს, ან ძალღანთ ხევიდან თუ მოისმის თათრების გაკაპასებული ყუბაქების<sup>3)</sup> ყფა.

თუ ქარი ამოვარდა, მაშინ ხომ ჯოჯოხეთი ტრიალდება მეთურმეების ირგვლივ, განსაკუთრებით, როცა საკენქაოზე ავლენ, და ქარი აყრის მათ ქვა-სა და გუნდას წვილ-კივილით.

ქარი ზუქნავს, წივის და თმებს იწეწს საკენქაოზე. ხშირად ყოფილა, რომ მგლეხისაგან შექმული მგზავრი საბოლოოდ ჩაუჩუმქრავს ქარს თოვლის კალთაში და მისი გზა-კვალი დაუკარგავს.

1) ტაბარუკი, ანუ ამბოკარი—ბოგანო, უმიწაწყლო კაცი.  
2) უღალი-ძნელად სავალი მთა.  
3) ყუბაქი—ქოფაკი, დიდი ჯიშის ძაღლები.

სოფლის ბოლოში დგას ერთი საყრდენად ვიწრო, პატარა ქოხი თევაურებისა. ქოხის კარგის მაგიერ ძველი ტომრის კონკი აქვს აფარებული და ზამთარში, როცა ქარბუქია, ქარი შიგ ისევე თავისუფლად დაწანწალობს, როგორც გარეთ.

ქოხში სამი სული ცხოვრობს: დედა კეკე 8 წლის ვაჟით გიორგათი და ერთგული ძაღლი მურია.

გიორგის მამას ლისის ტბაზე ძილის დროს გველმა უკბინა და მან საშინელი ტანჯვა-წვალებით განუტევა სული. სოფელი მის ოჯახს დახმარებას უწევდა, მიწის ნაჭერი მოუხნეს, მკის დროს მომკეს, სახლში დაუბინავეს.

კეკე სოფელ-სოფელ დადიოდა მეზობლებში, ზოგს პურს უხელდა და თონეში უკრავდა, კარაქს უდღვებავდა, ზოგს მატყლს უჩეჩავდა და ასე მთელი დღის გაწეულ შრომაში ორ ან სამ ქერის პურსა და ოთხიოდე ხახვის ბოლქვს თუ მოიტანდა შინ.

ზაფხულში კიდევ არა უშავდა რა, ღოღო ბლომად იყო და კობოჩხილა<sup>4)</sup>, გიორგას სოფლის ნახირი ბადაღანთ პანტიანში საძოვარზე მიუდიოდა, ან-და მაყელის სერზე ჟოლოსა ჰკრეფდა, ჰყიდდა და ასე ვადიოდენ იოლას.

სანამ მაყელის სერზე ჟოლო არ დამწიფდებოდა, მთა დაყორულებული იყო. როცა ჟოლო კარგად შემოვიდოდა, სოფელში წინა დღით გამოაცხადებდენ, რომ ჟოლო შემოსულია და ხვალდან მთაზე ყორული ახსნილია. მეორე დღითვე გაჩნდებოდა სერზე გოგო-ბიჭების ჟივილი, სიცილ-კისკისი, ფაცა-ფუცი და ყველა გაფაციცებით ჰკრეფდა ხილს, რომ ერთიმეორისათვის ეჯობნათ და მეტი დაეკრიფათ. პატარა გიორგა და დედამისიც აქ გაჩნდებოდენ და ასე ორ დღეში ისე მოლევდენ სერზე ჟოლოს, რომ, წამლადაც რომ დასქარებოდა კაცს, ვერ იშოვიდა.

ამის შემდეგ მთას ისევ დაყორულდებდენ რამდენიმე დღით, სანამ მკვახე დამწიფდებოდა და მერე ისევ ის ამბავი იწყებოდა.

ზოგიერთი მარჯვე გოგოები, ყველასათვის რომ მოესწროთ, სერზე ღამიანად მიდიოდენ მაყელიანში და იქვე იძინებდენ.

ინათებდა თუ არა, მაშინვე წამოცვივდებოდენ და კრეფას იწყებდენ და სანამ მეზობელი სოფლებიდან—ტაბარუკებიდან და ლელობანიდან—სხვებიც მოვიდოდენ, მათ უკვე თითო კალათი სავსე ჰქონდათ.

4) მხალეთულია.





როცა გიორგა თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად ნახირში იყო წასული, თავს როგორმე დაიმართხნებდა, იქვე მალალ მთაზე ავიდოდა და გასცქეროდა ტფილისს.

ტფილისი მასში დიდ გაკვირვებას იწვევდა. მუ რია იქვე მის გვერდით იჯდა და რატომღაც კულის ქიციანით წკმუტუნებდა.

—ეჭვი, არ ზედავ შენ ამ სატიალესა, ჰაჰ, რამოდენა გადათხლაშულა და!.. გაივლებდა ფიქრში და მერე გაპარულ კამეჩებს სახრით გამოუდგებოდა.

ერთ საღამოს, როცა გიორგამ საქონელი სოფელში მორეკა და დაღამების წინ მურიასთან ერთად მხარზე კოკამოგდებული წყაროზე მიდიოდა, უეცრად მას დედის შემზარავი ხმა ზოცოდა.

გიორგა შეჩერდა, ფერდაკარგულმა უეცრად გონება ვერ მოიკრიფა.

—რა იყო, დედილო?.. გასძახა მან შეშინებულმა, მერე მიხვდა, რომ კითხვა ზედმეტი იყო და ქოხისაკენ გაექანა.

როცა ქოხთან გულამოვარდნილი მიიჭრა, ნახა: დედა ქოხის წინ ეგდო, ცალ ხელს უმწეოდ ასავსებდა და ძლივს ბუტბუტებდა.

—შვილო გიორგა, ვკვდები, შვილო, გიორგაჯან, მიშველე!..

გიორგას თავხარი დაეცა, რატომღაც ქოხში შევარდა და მერე გონებადაკარგული ბანზე აიჭრა.

— მიშველეთ, მიშველეთ! . დედა! . დაიბლაღლა მან თავხარდაცემული ხმით, წიოდა თმაგაწეწილი და ტანზე ისედაც კონკად ქცეულ ხალათს კიდევ უფრო იგლეჯდა სიმწარისაგან.

მეზობლებიც მოცვივდენ, ნახეს: კეკეს დამბლა დასკემოდა და მარცხენა ხელ-ფეხი და ენა სანახევროდ წართმეული ჰქონდა.

ზოგი პირში სულს უბერავდა და ზოგი წყალს აძლევდა, მაგრამ საცოდავ კეკეს მაინც არაფერი ეშველა.

მას მერე არ ამდგარა კეკე, სულ იწვა. დაზამთრდა.

ნახირი აღარ იყო. საქონელი ბოსლებში გომურებში და ფარეხებში იყო დაბინავებული.

მუნლამდე თოვლი დასდო და გარეთ ისეთი დარი იყო, რომ ძალი არ გაიგდებოდა კარში.

გიორგამ ფრჩხის მარაგი ზაფხულიდანვე დაიჭირა და ქოხში ცეცხლზე ეწოთ, მაგრამ ქოხი ისე იყო მოთარღობებული, რომ ცეცხლს ძალა არა ჰქონდა.



ახლახან საბჭ. კავშ. ჩამოვიდა ინგლისის პიონერების დელეგაცია. დელეგაციას თან ახლავს კომუნისტი კაკილიანი და გალახერი. ამ სურათზე მოთავსებულია დელეგაციის მონაწილენი.



გიორგა ცეცხლის პირას ჩაკუცქული იჯდა და დაფიქრებული თვალებით ხან მწოლიარე დედას უცქეროდა და ხან ცეცხლს.

ზაფხულში მან ფაცერი მოლობა, რალაც ტახტის მაგვარი მოუწყო დედას და ზედ დაწვინა.

— როგორა ხარ, დედილო, ხომ არ გცივა, ჰაჰ? დედა კენესით უპასუხებდა, რომ არა ჯჭირს რა. მაშინ გიორგა ბავშურ თვალებს დიდი, ვით გონივრად დააქცეტდა, მან იცოდა, რომ დედა ძლიერ ცუდად იყო და რომ გაერთო და ნუგეში ეცა, ქადაგივით გაშტერებულ ლაპარაკს დაიწყებდა:

— ნუ გეშინია, დედილო, ნუ გეშინია... რა ვუყოთ, რომ პატარა ვარ.. ერთი წელიწადიც კიდევ და გავიზრდები... აი, გაზაფხულდება... თოვლს არ დებს... მზეზე ვაგიყვან და სისხლი გაკითბება... ჩვენი დამხმარე აღმასკომი გვიპატრონებს... მეც მოარჩები, ჰო, დედილო, სიყმის მხემ, მოარჩები... მე კი ისევ ნახირში წავალ.. მოიცადე, დედი... როცა გავიზრდები, ისეთი საკაბე გიყიდო, რომა მთელი ჩვენი სოფლის დედაკაცები შურით სკდებოდნენ...

გარეთ ქარი იყო, თოვლი ნამქერად ადიოდა ცაში და სამ ნაბიჯზე კაცს ვერ გაარჩევდა ადამიანის თვალი. ქარბუქი თოვლს ბზესავით ანიავებდა და ფარღალალა ქოხში ჰყრიდა.

კარებთან მუხლამდე იყო თოვლი. დაღამდა.

გიორგამ თოვლი გარეთ გაჰგავა, ცეცხლს კარგად შეუკეა, მერე იქვე მიწაზე მაისის დანატოვარი ტყაპუჩი დაიგო, ზემოდან რალაც ძონძები წაიხურა და მიწვა.

გვერდით მუჩია მოუწვა. გიორგამ თვალები მილულა და ბურანში წავიდა.

მურია თათებზე იწვა, ცეცხლს გონიერი თვალეებით უცქეროდა და წკატუნით ამთქნარებდა.

საწკებელას ტყე ზარდამცემად გუგუნებდა, თოვლს ბუქივით ჰყრიდა და ქარი ქოხის კედლებს შრიალით ესრისებოდა, მერე სადღაც ორწოხში ჩაკმწყვდევოდა და საცოდავად სტიროდა თმაგაწეწილი ქალივით.

ბუნაგზე აყრილი და სიმწლით შეწუხებული მგლები სოფელში ჩანოცვივდნენ და ბოსლებთან საზარელი ღმუილი დაიწყეს.

ძაღლების ყეფა მოედო სოფელს.

მურიაც გარეთ გავარდა, ითარეშა და, როცა სოფელი დაწყნარდა, ისევ ქოხში მობრუნდა. ნამძინარევი გიორგა კანკალმა აიტანა, ძაღლს მიეხუტა, მაგრამ ის ზურგზე დამდნარი თოვლისაგან მთლად სველი იყო და მოიშორა.

ქოხში ისე ჰყინავდა, როგორც გარეთნახული კარგახნს ეძინა გიორგას ასე. უეცრად მას ძილში მურიას შემზარავი ღმუილი მოესმა.

ზარდაცეზულს გამოეღვიძა და ხედავს, რომ მურია კარებთან წინა თათებზე დაყუნტულა, თავი ცად უბყრია და შეჰყმუის ზეცას შემზარავად.

— გაჩუმდი, შე სატიალევე, შენა! — შეუტია გიორგამ ძაღლს და შიშის ზარა ტანში ყრუანტელივით დაურბინა.

მას გაგონილი ჰქონდა, რომ როცა ძაღლი ასე დაიწყებდა ღმუილს, სახლში ვინმე მოკვდებოდა.

ძაღლი გაჩუმდა და კუდის ქიცივით პატრონს მიუახლოვდა, მაგრამ გიორგას ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მის გულში შიში გველივით შეიპარა და იწვა ტყაპუჩზე გასნატული

მერე ოდნავ წამოიწია და ოდნავ მაღალი შეშინებული ხმით დედას დაუძახა:

— დედი!..-მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— დედი!..-მოუმატა მან ხმას და, როცა პასუხი არავინ გასცა, შეშფოთებული ხმით კიდევ დაუძახა:

— დედი!..-პასუხი მაინც არ იყო. მაშინ ის, შიშითა და სიცივით აძიგძიგებული, მიწაზე გაფორთხდა, ლოგინს მიუახლოვდა და შუბლზე ხელი დაადო. ცხელი იყო. ყური მიუგდო: მძიმედ სუნთქავდა.

— უჰ, რა მაგრად სძინავს! — გაიფიქრა მან და სიცივით აძიგძიგებული დედას ლოგინში ფრთხილად შეუწვა, რომ არ გაეღვიძებინა.

გარეთ ქარი ისევ ზუზუნებდა, ქოხში დაღველილი ცეცხლი ოდნავ იბუტებოდა და გიორგას დედის ლოგინში სითბომ ძარღვებში საამო ყრუანტელით დაუარა.


ცოტა ხანს შემდეგ მიეძინა.

სიხმარში ის ხედავდა გაზაფხულს, მინდვრებს, მინდვრებში ყვავილები იყო, ყვავილებში დედა იწვა, გიორგა ყვავილებს ჰკრეფდა, დედას აყრიდა და დედა უცინოდა, ჰკოცნიდა მას და ეაღერებოდა. მერე უეცრად, საიდან არ იყო, კამეჩი ნიკორა წამოვიდა მათკენ, ის შავი იყო, მეღანით შავი, შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა და ისე საზარლად ჰდმუოდა, რომ გიორგას შეეშინდა და გამოეღვიძა.

შებნდა: მურა ისევ ისე იჯდა კარებთან, თავი მაღლა აედო და ჰყმუოდა.

— ხმა გაკმინდე, შე სავერნევე, შენა!.. — შეუტია ძაღლს გიორგამ.





გიორგი ისმენს სხვა პიონერებთან ერთად გაზეთის კითხვას.

ძალი გაჩუმდა, კუდის ქნევით პატრონს მიუ-  
ახლოვდა, საცოდავად აწკმუტუნდა და უცნაურად  
ქეჩოაყრილი გიორგას ხელებს ულოკავდა.

კარგახანს იყვნენ ისინი ასე, მერე გიორგას  
ძალი მოერია, დედისკენ გადაბუნდა და ხელი ხელ-  
ზე მ-უხვდა. იგრძნო, ხელი ცივი იყო.

გველნაკებენ-ვით წამოიჭრა ფეხზე, დაიხარა და  
გულზე დაადო ყური. დედა მომკვდარიყო.

— დედი!.. — დაიძახა მან და მიცვალებული  
შეარხია.

— დედი!.. — დაიბღავლა მან კიდევ ერთხელ  
ზარდაცემული ხმით, და როცა დედამ ხმა არ გასცა,  
ის ძაწოლათანილი ყვირილით გამოვარდა გარეთ.  
ყვირილი არავის გაუგონია: ქარი გუგუნობდა. წა-  
შოუბერა და მოსიყვარულე დედასავით შემოეხვია  
თოვლის გაჟრიალებული კაბით. გიორგა დატორტ-  
მანდა და წაიქცა.

— უუუ!.. — ზუზუნებდა ქარი.

— მუუუ!.. — ღმულოდა მურია

— დედა!.. დედა!.. — ძლივს მოაქე-ხა მან,  
მაგრამ ქარმა თოვლი პირში მიაყარა, სუნთქვა შე-  
ეკრა, და მერე მიჩუმდა ყველაფერი..

— მურაა!.. მურია!.. მურია დარჩა იქ, საცო-  
დავი, ჩემი მურია!.. — აძახდა იგი, მაგრამ ის დედას

ეჭირა ხელში ატაცებული, ლამაზი გულკეთილი ქა-  
ლები მაინც ჰგალობდნენ და ყურადღებას არ აქცე-  
დნენ იქ, ძირს, მიწაზე დაყუნტულ მურიას რომ თა-  
ვი მათკენ აელო და ჰყმულოდა...

მეორე დღეს, როცა სოფლელები გა-  
რეთ გამოვიდნენ, გიორგას ქოხისთვის ყურადღება  
არ მიუქცევიათ, მაგრამ მურია არ ისვენებდა, ერთ  
ადგილას თოვლს წკმუტუნით ჰვხობოქნიდა და ისე  
ყმულოდა, თითქოს ხალხს ეხვეწებოდა: მოდი, მი-  
შველეთო.

— რა დაემართა ამ სატიალეს, ამასა, ჰა?.. —  
იკითხა ძაღლის წკმუტუნითგაოცებულმა ერთმა მე-  
ზობელმა, ჯოხს დასწვდა და ესროლა, მაგრამ ძა-  
ღლმა ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან და თოვლს  
თათებით ჰვხობოქნიდა.


— ბიჭოს, აქ რაღაც კარგი ამბავი არ უნდა  
იყოს!.. — გაიფიქრა მან და ქოხისაკენ გაემართა.

— გიორგა!.. ჰაი, გიორგა!.. — დაუძახა მან და,  
როცა პასუხი არავინ გასცა, შიგ შევიდა, ნახა: კეკე  
მომკვდარიყო და გიორგა კი არ სჩანდა.

მაშინვე ქოხიდან გარეთ გამოვარდა, მეზობ-  
ლებს დაუძახა და მიხვდნენ, რომ გიორგას თოვლი  
თუ ჩაჩუმკრავდა.

მაშინვე ნიჩბებით დაიწყეს თოვლის თხრა.





მურია სიხარულით ხან წკმუტუნებდა და ხან ჰყეფდა, დარბოდა, ხტოდა და ყველას ფეხებ ქვეშ ედებოდა.

— შეხედე ამ სატიალეს, როგორ ადამიანივით უხარია, ჰა?—ჰკვირობდნენ გლეხები.

ცოტა ხანს შემდეგ ნახეს, რომ გიორგა მოკუნტული ეგდო უგონოდ.

მაშინვე ტანთ გახადეს, შიშველი თოვლზე დააწინეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თოვლით ზელა დაუწყეს.

როცა ტანი აუწითლდა, ყველამ სიხარულით ერთხმად შესძახა:

- ცოცხალია, ბიჭი ცოცხალია!..
- აბა, ერთი კიდევ კარგა დავზილოთ!..

როცა გიორგამ ღრმად ამოისუნთქა, ის მაშინვე ხელში აიტაცეს, ბადალანთ თანდილასთან შეიყვანეს და ლოგინში დააწინეს.

გიორგამ თვალი გაახილა და უაზროდ მიიხედ-მოიხედა.

— დედი!..—დაიკვნესა მან, მაგრამ თანდილამ სულის მოსაბრუნებლად პირში არაყი ჩაასხა. ისედაც მისუსტებულ ბავშვს არაყი კიდევ უფრო მოერია და მიეძინა.

ორი კვირა იწვა ის ავადმყოფი, ბოლოსდაბოლოს ადგილას ვერ ისვენებდა.

სოფელმა დედამისი უიმისოდ გაასვენა, და ასე დარჩა გიორგა ობოლი.

როცა მორჩა, თანდილამ საბანში კარგად შეხვეული ქალაქს წაიყვანა. იქ მას კეთილმა ხალხმა გზა ასწავლა, თუ სად უნდა მოეწყოთ იგი თავშესაფარში.

აქ ის სახელმწიფო ხარჯით აიყვანა მთავრობამ და სკოლაში შეიყვანეს. შემდეგ პიონერიც გახდა. ახლა ის უკვე კარგად არის, მასწავლებლები ყველა კმაყოფილია.

ფიქრობს ის დედაზე, მურიაზე, ფიქრობს, რომ მალე წავიდეს ნასწავლი თაყის სოფელში და იქაც დააარსოს პიონერ-კოლექტივი, იქაც დარაზმოს ბავშვები ბავშთა კომარგანიზაციაში, ასწავლოს თავის თანამოძმე ბავშვებს, თუ როგორ უნდა ისწავლონ და იმუშაონ.

იქ კი, სოფელში, მურია დგას სერზე და გასცქერის გზას იქით, ეძახის გიორგას, მაგრამ გიორგა არ სჩანს, გიორგა ქალაქშია და ზაფხულამდე ვერ ნახავს თავის საყვარელ მეგობარ მურიას..

დემნა შენგელაია.

## მ წ ვ ა ნ ე მ თ ა - გ ა რ უ ი .

ფიქრები ისევ გეაღერსება,  
 მზით დაკოცნილო მწვანე მთა-ბარო,  
 თვალი გრძნობათა ცეცხლით მევესება  
 და თითქოს მინდა გულით გატარო.  
 შენსკენ რამდენი ხანი ცვიოდა  
 გაუტეხავი თვალთა ისრები,  
 მთიდან მთვარეს რომ გადმოდიოდა  
 გზადაფენილი თეთრი ნისლეებით.  
 მინდა, რომ ბინად დავისადგურო  
 ეგ უძინარი მთა და ქალები,  
 შენი ფირუზი ცა დავიხურო  
 უხვად გაბნეულ ღრუბლის ხალებით.  
 როგორ გიხდება, როს დაგშრიალეbs  
 ფოთოლთა მწვანე ბაირაღები,  
 ცაზე მზის სხივი როცა იალეbs  
 და განათდება ღრუბლის თალები.  
 დადგება დილა მარგალიტივით,  
 მწვანე ფოთლებში დააბნევს სუნთქვას;  
 სადღაც ხევებში წყალი მიკივის  
 და კლდის ნატეხებს მიათრევს გულქვად.

გადმოიბრუნენ მთას სალამურით,  
 სად ტყე დახვდებათ პატარა მწყემსებს,  
 ნიავიც გრილი და სამაური  
 მათ გახსნილ გულ-მკერდს მიუაღერსებს.  
 აღუღუნებენ ხვას ჩანჩქერივით  
 და უსმენს ქალა ტყესავით მწვანე,  
 რაც დარღი ჰქონდათ გულს ჩარჩენილი,  
 თან გააყოლეს სანეტარ წამებს.  
 ისმის ფრინველთა წარმტაცი სტვენა,—  
 ხარობს ბუნება ლამაზი, ლალი,  
 ნიავსაც თეთრი ღრუბლები მიაქვს,  
 რომ დაულოცოს ცის იალალი.  
 ანკარა წყარო ჩხრიალებს, მიწვევს,  
 დამალევიწე. შევესვი. მეყოფა!..  
 გული პატარა ბავშვივით მიცემს,  
 გრძნობათა ტალღა გადაქელობა.  
 და გამუდმებით გეაღერსები,  
 მზით დაკოცნილო მწვანე მთა-ბარო,  
 თვალი გრძნობათა ცეცხლით მევესება,  
 და თითქოს მინდა გულით გატარო.

ე. პოლუმორდვინოვი.



# ბ ა ნ ა კ ა დ ს ხ ო ვ რ ე ბ ა


(პიონერის დღიურიდან)

**1 ივნისი.** ვაშა! ვაშა! ბუმ! ბუმ! ისმის მუსიკა და სცემს ბარაბანი. გამოთხოვება, გამოსალმება, ჩვენ გაველით ბანაკში.

ოცდაათი კაცი ვართ: ოცი ბიჭი და ათი გოგონა. ვაშა, ვაშა! მატარებელი მიდის, ბორბლები გრიალებენ, მზე ანათებს, მწვანე ხეხილები, შტოები იჭრებიან ფანჯრებში და შრიალებენ ჩვენი რონოდის გვერდებზე.

ჩვენი კოლექტივი მიდის ბანაკში.

რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ? სულელური კითხვაა, როდესაც ჩვენ გვერდით პატარა მდინარე და ტყეა, მზის ქვეშ ვიქნებით და მიწაც ჩვენია ჰორიზონტამდე.



მატარებელი მიდის.

ბანაკში შევიყარებით ძან მალე. ერთ კვირაში თითქმის ყველაფერი მოვამზადებთ. ან რა უნდა მოგვემზადებინა? არაფერი არ იყო მოსამზადებელი. მზადა გვქონდა კოვზები, ფინჯნები და ცხეირსახოცები. გაველით და მორჩა.

მიდიან ბანაკში ბავშვები.

მიდის ბანაკში მთელი კოლექტივი.

გაუმარჯოს გამბედავ რგოლებს.

კიდევ და კიდევ ვაშა!!

**2 ივნისი.** მოვედით გუშინ საღამოთი. შევცვივდით რალაც შენობაში. გავნაწილდით ჯგუფებად, მივეყარენით სხვადასხვა კუთხეებში. დღეს გავილევიძეთ დილა ადრიან. ბალახზე ნამია. სახლის ახლო მდებოა. სახლი ძველი და ცარიელია, როგორც ცარიელი კოლოფი. არავითარი დგამი, სახლი ფარლალაა და კედლები დახვრეტილია. არა უშავს რა, ზაფხულია.

ჩემი ამხანაგები კარგ გუნებაზე არიან. მთელი დღე-ღერბოდით და ვეყარეთ ბალახზე, როგორც ცხენები. ყვე-



შეცვივდით შენობაში.

ლაზე მეტად გორაობდა ჩვენი წინამძღოლი მიშა, მიტომ რომ ყველაზე მეტი ადგილი ბალახზე იმას ეჭირა.

თავი და თავი დამავიწყდა მეთქვა: ჩვენ აღამიანებს აღარ ვგავდით, ვგავდით თევზებს. ჩვენ მიწაზე აღარ ვცხოვრობთ, ვართ წყალში. ჩვენ დღეს ვიბანავთ 450-ჯერ. თითო ჩვენთავანი გაიბანა თითქმის თხუთმეტჯერ,  $30 \times 15 = 450$ , წინამძღოლის გარდა,

ზოგიერთ მობანავეს აძაგდაგებდა, რაც შეუჩვევლობის ბრალი იყო. მე, მაგალითად,—არაფერი ამის მსგავსი არ დამმართვია. მე ერთბაშად შევეჩვიე, ავიტანე.

ქვეყანაზე არა სჯობია რა ბანაკს. ეს ჩემი რწმენაა. ახლა დამეა. მე, მგონი, ბანაობას ვადავაჭარბე, ან მზეზე დავიწვი. მთელი ტანი მეწვის. ძილი არ შემიძლია. ან ვის დაეძინება გახურებულ ტაფაზე? აი, სწორედ მაგნაირ ტაფაზე ვწევარ. დღიურს ვწერ: სულ ერთია, არ მეძინება.

**3 ივნისი.** ვკამთ იატაკზე, ანდა ბალახზე. ეს, ცოტა არ იყოს, საინტერესოცაა, თუმცა მოუხერხებელია. ჩაი ივსება სილით და მერე უსიამოვნოდ კბილებში ხრამახრუში გააქვს. ჩვენ მაინც უურადლებას არ ვაქცევთ. კიდევ ვიბანავთ, როგორც ინდოელებმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინდოელები მიწაზეც ცხოვრობენ, ჩვენ კი მხოლოდ მდინარეზე.



დღეს ვიბანავთ.


ბანაობის დროს ნაწილი ჩემი ამხანაგებისა გალურჯდა, მე კი არა, მხოლოდ ცოტათი შემაცივა. საღამოთი უსაქმოდ დავეხეტებოდით. კოლოები იკბინებინან.

**4 ივნისი.** ჩვენ გველებისავით ვიცვლიდით კანს, ტკივილებს ვვრძნობდით. ასე მიდის ჩვენი დღე: ვსაუბრობთ, ვბანაობთ, ვვახშობთ, ძილი გვერევა, გვძინავს. დღესაც იგივეა.

**5 ივნისი.** დღეს წვიმაა. საქმე არა გვაქვს. მიუხედავად წინამძღოლ მიხას. მიშა მხოლოდ ხელებს იქნევს—მოგვმორდითო. მივედით ბანაკში—იცხოვრე და დაისვენე. ვმღეროდით. მოწყენილობაა. ვითამაშეთ. თამაში ძველია. მოწყენილობაა, მოწყენილობა, მოწყენილობა, მოწყენილობა (დღიური ავავსე სიტყვით: „მოწყენილობა“).

ვლაპარაკობდით იმაზე, თუ რა უნდა ვაკეთოთ, როდესაც გავათავებთ სკოლას. აღმოჩნდა, რომ ბევრ ამხანაგს სურდა ტენიკოსები და ინჟინრები გამოსულიყვნენ. იმათ ახლაც შეუძლიათ ოსტატობა. მაგალითად, სოსო გვანცალაძემ ელექტრო-ტრამვაის მოდელი გააკეთა. ჩვენ კი არ ვიცოდით. საერთოდ, ბანაკში ბევრი ახალგაზრდაა,





რომლებსაც ეხერხებათ და შეუძლიათ სხვადასხვა ავე-  
ჯეულობის გაკეთება თავი და თავი ისაა, რომ ჩვენ მო-  
ველით ბანაკში მხოლოდ დასასვენებლად... ამინდი კი  
ცუდია...

არაფერია, ხვალ მშვენიერი მზიანი დღე დადგება.  
ჩვენ ჩვენსას გავიტანთ.

**6 ივნისი.** მართლაც, მზე გამოვიდა. კიდევ წავედით  
საბანაოდ. მხოლოდ პატარა უსიამოვნება შეგვემთხვა: კო-  
ტე ნონიკაშვილი იხრჩობოდა. ყველა შევეცადეთ მის გა-  
დარჩენას. გამოვიყვანეთ წყლიდან. სადაც ის იხრჩობოდა,  
წყალი მუხლებს ძლივს სწვდებოდა. დღეს კოტანი ვბანა-  
ობდით: 15 პიონერს თავი სტკივა.

**7 ივნისი.** ჩვენ აქ მთელი კვირა ვართ. ფარღალაა,  
ბანაობაც მოგვწყინდა. ვაგაგაგებთ, ტანის კანი გვიხურს,  
ჩანს ვსვამთ ქვიშით, კოლოები იკბინებიან. პიონერთა  
მარშსა ვმღერით, სათამაშო არა გვაქვს რა. მოწყენილო-  
ბა, გასაკეთებელი საქმე არა გავაჩნია რა. მე სრულე-  
ბით არ მეგონა, რომ ბანაკში მოწყენილობა დაგვხვდე-  
ბოდა მის გამო, რომ საქმე არა გვქონდა. ნამდვილად  
კი ვგრე იყო.



ვყრივართ მზეზე.

ჩვენ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხტოდნენ,  
როგორც ხბოები. უმრავლესობა მოწყენილი იყო, მეც  
მათ შორის ვიყავი.

**8 ივნისი.** არაფერი წინაღობის მსგავსი! დღეს იყო  
პირველი საიდუმლო სხდომა ჩვენი საიდუმლო ჯგუფის, ესე  
იგი, კოლექტივის საბჭოსი. მონაწილეობენ: კოლა გვანცა-  
ლაძე, გურგენ სპანდარიანი, ვალია დროზდოვი, კოტე  
ნონიკაშვილი და მე.

გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა საქმე. ყურნალებში  
არის მასალა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ყოველნაირი  
ავეჯი ბანაკისთვის. ჩვენ კოლექტივში აღმოჩნდნენ ყოველ  
გვარი სპეციალისტები. ჯერ ერთი — ტენიკოსები, მეორე  
— ბუნების მოყვარულები, მესამე — რამდენიც გნებავს ყვე-  
ლანაირი მოყვარულები.



გვკბენენ კოლოები.

დავადგინეთ: შეიარაღებული ძალების სარდლობა  
თუ მეთაურობა განაწილდეს ასე: კოლა — ტენიკოსი. გი-  
ვი — ბუნების და გეოგრაფიის მოყვარული. ვალია — სხვა ბა-  
ნაკებთან კავშირის დამკერ (მახლობელი სოფლებიდან),  
კოტე — თამაშის, მე კი — თეატრის, გართობის.

თავდაპირველად გადავწყვიტეთ მთელ კოლექტივს  
მოეწყო ბანაკი, დგამები, მაგიდები და რაც სჭირდება.  
აბა, ჩქარა მუშაობაზე! ვაშა!

### ბანაკის მოწყობა.

**9 ივნისი.** წინამძღოლ მიზსთან წინასწარ შეთან-  
ხმებით ჩვენმა ჯგუფმა გამართა საზოგადო კრება.

— აზნანაგებო, ასე არ შეიძლება ცხოვრება! არ  
შეიძლება იატაკზე და ტალახში ძილი. ყველაფრის ფან-  
ჯარაზე დაწყობა არ შეიძლება.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ საწოლები და სხვა მოწყო-  
ბილობა, — ამბობს სოსო გვანცალაძე.

ჩვენ ყველანი ვიღებთ მის წინადადებას.

— როგორ გავაკეთოთ? ადვილია თქმა! გასაშლელი  
საწოლების გაკეთებას დიდი დრო უნდა და მასთანავე  
ჩვენ ცუდი ღურგლები ვართ. ამაზე ადრე უნდა გვე-  
ფიქრა.



— აი რას გირჩევთ: გავაკეთოთ სულ უბრალო სა-  
წოლები, ჩვენ მათ ერთ დღეში გავაკეთებთ.

— როგორ?

— აი როგორ, ყური დამიგდეთ; აირჩიეთ, ვისაც  
როგორი საწოლი მოგწონთ, და იმგვარი გაიკეთეთ.

აქ სოსომ თანქარი და ერთი ფურცელი ქალაღლი  
საღო. ყველანი მისხდნენ მაგიდასთან და მოეზადნენ სა-  
იმენად.

**საწოლები:** აირჩიეთ ორი მსხვილი, ხელის სისქის  
ჯოხი, სიგძით კი კოტა შენ ტანზე მალალი. ჩამოთაღე  
როკები. გაასალაშინე, მერე აიღე განიერი ზეწარი, ან  
ორი ზეწარი, ნაპირები ერთმანეთზე კარგად მიაკერე და  
გამოვა უძირო ტომარის მსგავსი. ამ ტომარში გაუყარე  
ჯოხები და ტილო გადაჭიმე. ახლა უნდა გაამაგრო ჯო



ლოგინი.

ხები სადგომზე, ამისთვის საჭიროა აიღო ორი გრძელი შე-  
შა. ცუდით ძირებში ნახვრეტები გაუკეთე, მათში უნდა  
ჩაასო ჯოხები. ეს ნახვრეტები ერთმანეთზე იმ მანძილზე  
უნდა იყოს, რომ ტილო კარგად გადაიჭიმოს.

ნახვრეტები ღრმა უნდა იყოს, რომ ჯოხები არ ამო-  
ცვივდეს.

ახლა დავგრჩენია ერთი რამ: გავუკეთოთ დასადგომი  
შეშებს, რადგან ჩვენი საწოლი ძაან დაბალია. დასადგო-  
მისთვის გამოდგება ორი ერთნაირი ყუთი, მათზე დაეწ-  
ყობა შეშები.





თვით ყუთებიცა შეიძლება ისარგებლო, ყუთებიდან შეიძლება გაკეთდეს განჯინა (შკაფი). როგორ გავაკეთოთ ამნაირი განჯინები, — ამაზე მერე ვიამბობთ, ახლა კი დროს ნუ ვკარგავთ და წავიდეთ; ზოგი ჯოხების მოსაქრელად, ზოგი კი — კოპერატივში — ყუთებზე.

ჯოხები ბლომად მოვიტანეთ; ყუთები კი არ გამოდგა შესაფერი: ვერ ვიშოვეთ ერთნაირი და სწორი. ნაწილი ყუთებისა დატეხილი იყო. ლურსმნებით დამაგრება მოგვიხდა. ბევრი გრძელი ყუთიც ერია. აქ მიშამ გამოიჩინა თავისი შნო და უნარი:


— ბალებო! ამ გძელი ყუთებიდან ადვილად შეიძლება გაკეთდეს საწოლები სხვა ყაიდისა, უფრო უკეთესი, ვიდრე ტილოსი.

— აი, მიყურეთ, როგორ გავაკეთო.

მან აიღო ჩაქუჩი და ხელად დაშალა გძელი ყუთი ცალკე ფიცრებად.

— აი, ახლა, სანამ მე საქმეს შევუდგებოდე, ვისაც გნებთ გაზები, ამოიღეთ ამ ფიცრებიდან ლურსმნები. ყველა გამოგვადგება.

ყუთში გძელი ფიცრების გარდა იყო კიდევ (ბოლოებში და შუაში) 4 მოკლე და სქელი ფიცარი. ეს ფი-



მ ა ტ რ ა ც ი.

ცრები მიშამ შუაზე გაჩეხა და მიიღო რვა ცალი. ექვსი ცალი მან მილურსმნა ყუთის ბოლოებში და შუაში, ასე რომ გაუკეთდა ფეხები. როდესაც მიშამ გადმოაბრუნა ყუთი და დააყენა ფეხზე, ყველას გაუკვირდა, რომ მან ასე ჩქარა გააკეთა საწოლი და ისიც მშვენიერი.

აი მისი სურათი, სოსოს მიერ დახატული.

ბავშვები მოესწრენ ახალ საწოლს, იზომავენ ტანზე... მხოლოდ აი რა: სასთუმალი არა აქვს. ჩვენმა ბალებმა ამასაც უშველეს; გაუკეთეს სასთუმალი დარჩენილი ფიცრებიდან. როგორაა გაკეთებული, სჩანს სურათიდან.

— შეიძლება გკითხოთ, როგორ დაიძინებთ ამ საწოლში?

— როგორ? ძან უბრალოდ. დაწეკი და გაჭიმე ფეხები. ბალიში არაა... ევ უბრალო საქმეა: გატენე ბალიშის პირი თივით, — აი შენი ბალიშიც.

— არა. მე მაგაზე კი არა... აი, ცარიელ ფაცრებზე როგორ... ტილოს საწოლზე ლეიბი არ უნდა, აქ კი უიმოსოდ ვერ გასძლებ.

— ჰო, ამხანაგებო! ეს მართალია. მაშ უნდა მოვიგონოთ ლეიბი. ამ ღამეს კიდევ ვიძინოთ იატაკზე, ხვალ კი... ძირს მაგარი იატაკები!

**10 ივნისი.** გადავწყვიტეთ ლეიბები ტომრებიდან გაგვეკეთებინა. აიღეთ კოპერატივიდან კარგი ტომრები. გარეცხეთ, შეკერეთ გრძელი ტომრები და გატენეთ თივით.

კოპერატივში ტომრების საკმაო რაოდენობა აღიყო, გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა ლეიბები ჩალიდან. დღეს ჩვენ რბილ საწოლში გვიძინავს. დაწოლილი ვწერ. თუმცა ეს არაა მიღებული, სამაგიეროდ ადვილია.

**11 ივნისი.** დღეს ჩვენ გაცხოველებული მუშაობა გვაქვს, როგორც ფაბრიკაში. ხმაურობენ ცულები, ჩაქუჩები, წრიპინებენ ხერხები, ბავშვებიც უივყივობენ. მუშაობას ხელმძღვანელობენ: კოლა, გურგენ, ვალია და თვით ჩვენი წინამძღოლი. იმთ ხელთაა ჟურნალი, სადაც ხატია სურათები და აღწერა გასაკეთებელი ნივთების. დანარჩენში ჩვენი ამხანაგები იჩენენ თავიანთ უნარს.


აი რა და როგორ გაკეთდა:

**სკამები და ოთხფეხურები („ტაბურეტკა“) ყუთებისაგან.**


გაკეთება ძალიან ადვილი საქმეა. უნდა შეირჩეს შესაფერი ყუთი, ჩაილურსმნოს ათეული ლურსმნით, რომ გამაგრდეს და ზევიდან გადაეკრას მეორე ყუთის ფანერის ფურცელი, თუმცა გოგონები სხვაგვარად აკეთებდნენ: მათ ყუთი დახურეს ტომრის ნაჭრით. ნაჭერზე გამოიყვანეს ფერადი ძაფებით სურათები. სურათი შეეღებათ, მაგრამ შიშობდნენ, ვაი თუ გავვაჭუჭუყიანოსო.

ყუთიდან აკეთებდნენ სკამებს განჯინებით, კარებად იყო ყუთის ხუფი. „პეტლების“ მაგივრად ტყავის ნაჭრები ჰქონდა გაკეთებული. გამოიყენეს ძველი ქამარი.

ყუთის გვერდებზე მიაკრეს ორი ხის ნაჭერი, მათზე გარდიგარდმო — ფირფიტა. მათ გათლა მოუწინა — ბევრი წვალემა დასჭირდა. საუკეთესო გამოვიდა.



მაგიდა.



პირსაბანი.

**მაგიდების** გაკეთება შედარებით უფრო ძნელი იყო. რასაკვირველია, მაგიდების გაკეთებაც შეიძლებოდა ყუთებიდან. ეგრეც მოვიქცეთ. ჩვენმა წინამძღოლმა მიშამ კი მოინდომა სქელი ფიცრებიდან კარგი მაგიდის გაკეთება. იგი მას აკეთებდა თითქმის მთელი დღე. სამაგიეროდ საუკეთესო მაგიდა გამოვიდა, ჩვენ იგი გადავიღეთ კიდევ. აგრეთვე გადავიღეთ სავარძელი, სამი გოგონას მიერ ტოტებისაგან გაკეთებული.

აი, რა კარგია, რომ ვასომ გუშინ ტფილისიდან ფოტო-აპარატი ჩამოიტანა. ახლა ჩვენ შეგვიძლია, როგორც ამბობენ, აღვნიშნოთ ქალაქზე უმთავრესი და საინტერესო მომენტები ჩვენი საბანაკო ცხოვრებისა.

რაც გინდა უამბო ამ სავარძელზე და მაგიდაზე სხვას, ის არაა, რასაც ფოტოგრაფია აჩვენებს, ის თავისთავად ლაპარაკობს.



როგორ აკეთებდა მიშა მაგიდას — ჩანს სურათებიდან. ზომები ნაჩვენებია სანტიმეტრებში.

მაგიდისთვის მიშამ ჯერ ორი მოპირდაპირე დირე გააკეთა, მათზე მიამაგრა ცერად ფეხურები დიდი ლურსმნებით. ფეხურების გარდიგარდმო მილურსმა ორი გრძელი დირე, რომლებიც ამაგრებდნენ ფეხურებს და ადგებოდნენ დასაჯდომ ფიცარს საყრდნობად.

მოპირდაპირე ორ დირეს შუა, რომელზედაც დაბეჭდილია მაგიდის სახურავი, და ორ ქვეითაზე, რომლებზედაც დაყრდნობილია დასაჯდომი ფიცრები, ჯვარედინად მიამაგრებულია ორი ნაწიბი.

მაგიდის სახურავისათვის მიშამ სამი ფიცარი გაჩანდა. მაგიდა გამოვიდა ძალიან კარგი და მოხერხებული, მომზადებული დასაჯდომებით ორივე მხარეზე.

**სავარძელი ნამორებისაგან.** გოგონებისაგან გაკეთებული სავარძელიც მოხდენილი გამოვიდა. ისინი მას ჩვენ ჩუბად ფანჩატურში აკეთებდნენ და მერე ალტაცებით წარმოგვიდგინეს. აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველას გვსურდა ამ იშვიათ სავარძელში ჩაჯდომა.

### პირისაბანი, განჯინები და სხვა.

პირისაბანი ჩვენ გავაკეთეთ ხის ქვეშ, ხეზევე გავმართეთ ჩამოსაკიდი ნამორის ჩამონათლიდან, პირსახოცისთვის. ზოგიერთს შეუძლია გვკითხოს — ჩამოსაკიდი ხეზე რათა მიბმული და არა მიკრული. ამის გაკეთება მოგვიხდა ჩვენი ნატურალისტების სურვილით, რომ ხეები არ გავგეფუჭებინა ლურსმნების დაკრით. ჩვენ ავუხიროდით, მათ ჩვენ შეგვარცხვინეს: „მონაწილეობას იღებო „ტყის დღის“ ჩატარებაში, რგავთ ხეხილებს“, ზრუნავთ მწვანე მოედნებზე — თქვენვე კი ავუჭებთ ხეებს! ჩვენ დავთანხმდით.

ხეებთან სკამების გაკეთების, გამართვის ნება კი მოგვცეს.

ხის ძირის ახლო ხეების კანი სქელია (ჩვენ ამნაირ ხეებს ვირჩევდით) და ლურსმანიც არ ვნებს ამნაირ ხეებს.

ძალიან კარგი განჯინები მივიღეთ მოგრძო ყუთებიდან.

ჯერ ყუთი დავშალეთ ცალცალკე ფიცრებად და გავთალეთ, რის შენდეგ მოგვიხდა მისი ხელახლად შეკვრა, ყუთის შუა და გვერდებზე მივაკარით „პლანკები“, ამ პლანკებზე ეყრდნობოდა თაროები. ეს თაროები ჩვენ არ მიგვიკრავს და ისინი ადვილად იღებოდა ეს გავაკეთეთ მისთვის, რომ ადვილად გვესუფთავებია და გვერეცხა.

გარდა იმისა, რომ ჩამოგველო თაროები, მთელ განჯინას გადავაქცევდით მოძრავ ზანდუკად, რისთვისაც გვერდებზე ტარები გავუკეთეთ.

გოგონები აკეთებდნენ თავისთვის პატარა განჯინებს ფანერის ყუთებიდან უკარებოდ. კარების მაგიერ იყო

ფარდა: ამბობენ, აგრე სჯობიაო, მე კი მგონია, ვერცხე ხერხეს კარების გაკეთება. განჯინებზე ბევრი ჰქონდათ მიამაგრებული სარკეები. უსარკებოდ ისინი ძნელად ადგებენ.

ჩვენ კი ყველას საწოლ ოთახში გვქონდა ერთი სარკე.

თათოები, განჯინები, დგამი მთლად სცვლიდა ჩვენი საწოლი ოთახის სანახაობას, ოთახს მყუდროება და წესრიგი დაეტყო.

**12 ივნისი.** ვათავებთ მოწყობას — სამ დღეში! კედლებში ნახვრეტები ამოვავსეთ ხავსით, აქა-იქ კედლები შევასწორეთ ფანერით და ფიცრებით. კედლები პლანკებით და ლოზუნგებით მოვრთეთ, გავალამაზეთ მთელი ოთახი ფიჭვის შტოებით, ჩამოვიკიდეთ კედლებზე ბელადების სურათები და სხვა ნახატები.

ოთახის მორთვაში თავი ისახელეს გოგონებმა. უნდა ითქვას სიმართლე: ამ შემთხვევაში გოგონებმა აჯობეს ბიჭებს.

ჩვენ სახლის ირგვლივ ყველაფერი მოვაკეთეთ: ნაგავი გადავყარეთ, დავგავეთ და გავასუფთავეთ გზები, გავმართეთ დგამი.

ისე გავამშვენეირეთ იქაურობა, რომ გასაოცარია, ადრე როგორ ვერ შევიანჩინეთ ის სიბინძურე და ურიგობა, რომელშიაც ჩვენ გვიხდებოდა ცხოვრება პირველ დღეებში!

ოთახში და სახლის კარმიდამოზე გავმართეთ სანაგვე ყუთები. როდესაც ირგვლივ სისუფთავეა, დაუშვებელია იატაკზე დაფურთხება და მონაგვიანება, როგორღაც უნებლივ იცავ სისუფთავეს — ამას ჩვენი ცხოვრების მოწყობა — გამშვენების ამოცანები გვიკარნახებს.

გადავწყვიტეთ გავვესუფთავებინა მოედანი თამაშობისთვის, დავვეღვა ძელი და აგვეფრილებინა წითელი დროშა. კარგია აგრეთვე გავმართოთ მხის საათი.

გოგონებმა მოგვცეს წინადადება ფერადი კენჭებიდან გამოგვეყვანა ცელი და ჩაქუჩი.

ჩვენ კიდევ ვფიქრობთ — რით შევავსოთ კიდევ ჩვენი საქმიანობა. მოწყენილობას აღარა ვგრძნობთ. ჯერ კიდევ ავადმყოფოვს რამდენიმე ამხანაგი. მალე გამოკეთდებიან. ჩვენ მაინც არ ვიფიწყებთ ბანაობას და არც თამაშობას“.

აქ თავდება ბანაკად მყოფი პიონერის დღიური, თუმცა ამ ორი დღის წინათ მოგვწერა, „დღიურის“ განგრძობას გიგზავნითო. კარგი იქნება, ძვირფასო ბავშვებო, ამხანაგო პიონერებო, თქვენც მიჰხადოთ თქვენს ამხანაგს: მოჰკიდეთ სერიოზულად ხელი „პიონერ — დღიურის“ სისტემატიურ შედგენას! ყოველი პიონერი, ქალაქად თუ სოფლად, მოვალეა იქონიოს თავისი დღიური და აღნიშნოს შიგ ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი საქმიანობა, ყველაფერი ის, რაც მას ახარებს და რითაც უკმაყოფილოა.



# ნახევარი საუკუნე რევოლუციის საღვთაშობა

5 ივლისს შესრულდა 70 წელი საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ბელადის ამხ. კლარა ცეტკინის დაბადების დღიდან.

კ. ცეტკინი დაიბადა 1857 წელს გერმანიაში, სოფლის მასწავლებლის ოჯახში.

თავისი ბავშვობა მან გაატარა გლეხების შვილებთან. ჯერ კიდევ პატარაობისას რუს რევოლუციონერ სტუდენტთა მეოხებით ის ეცნობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობას.

ამ ხანებში ის უკვე იწყებს მუშათა კრებებზე სიახულს და სოციალისტური ლიტერატურის სერიოზულად შესწავლას.

1878 წელს მთავრობა იწყებს რევოლუციონერების დევნას და კლარა იძულებულია გადაიხვეწოს შვეიცარიაში. აქ ის კიდევ უფრო უახლოვდება სოციალისტებს და ხელს ჰკიდებს აქტიურ რევოლუციონერ მუშაობას.

შვეიცარიიდან კლარა ცეტკინი მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც ის ეცნობა ფრანგი სოციალისტების ბელადებს და მუშაობს გაზ. „სოციალისტის“ რედაქციაში.

კ. ცეტკინი დიდ ყურადღებას აქცევს თავის რევოლუციონერ მუშაობაში მშრომელ ქალებს, რომლებთანაც უშვებს ჟურნალს „თანასწორობა“. ეს ჟურნალი ხდება მუშა-ქალების მებრძოლ ორგანოდ.

ამ ჟურნალის მეოხებით კ. ცეტკინი განუმარტავს მშრომელ ქალებს, რომ „ერთ-ერთი გზა მათი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისაკენ—ეს არის მსოფლიო რევოლუციონერული პროლეტარიატის რიგებთან გაერთიანება, შეკავშირება და საერთო ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

მისი მუშაობა არ განისაზღვრება მარტო გერმანიის ქალთა შორის მუშაობით, ის მუშაობს საერთაშორისო მასშტაბითაც.

მისი ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა სოციალისტ-ქალების საერთაშორისო თათბირები 1907 და 1910 წელს. ამ თათბირებს შედეგად მოჰყვა

ქალთა საერთაშორისო ბიუროს შექმნა, რომლის მდივნად არჩეულ იქნა კ. ცეტკინი.

კოპენჰაგენში გამართულმა თათბირმა კ. ცეტკინის წინადადებით დაადგინა მთელს მსოფლიოში დღესასწაულად იქნეს გამოცხადებული ქალთა საერთაშორისო დღე.

1914 წელს რ. ლიუქსემბურგთან და კ. ლიბკნეხტთან ერთად კ. ცეტკინი ებრძვის სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ბურჟუაზიის მხარეზე გადა-

ვიდნენ. ამის გამო მას აპატიმრებენ. 1915 წელს რუს ბოლშევიკებთან ერთად კლარა ცეტკინი იწვევს ბერნში ქალთა საერთაშორისო კონფერენციას.

გერმანიაში რევოლუციონერ წლებში კ. ცეტკინის მონაწილეობით დაარსდა კომუნისტური პარტია.

1921 წელს კლარა მოემგზავრება საბჭოთა რუსეთში.

რუსეთში ყოფნის დროს ის მუშაობს რუს ქალებს შორის, გამოდის მათ კრებებზე მოხსენებებით.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ის გერმანიის პროლეტარიატს აცნობს საბჭოთა კავშირის ცხოვრებას.

1924 წელს რემედისის საერთაშორისო კონფერენციაზე კლარა ცეტკინი არჩეულ იქნა რემედისის აღმასკომის თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაზე ის დღემდე მუშაობს.

ამასთან ერთად ის არის კომინტერნის აღმასკომის წევრი, სათავეში უდგას ქალთა საერთაშორისო სამდივნოს, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ქალების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.


ქალარამოსილი, მაგრამ სულით მუდამ ახალგაზრდა კლარა ცეტკინი თავისი ფოლადისებური ნებისყოფით, მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულებით არის მაგალითის მაჩვენებელი ყველა ქვეყნის მუშებისათვის, რომლებიც კომუნისტების გამარჯვებისათვის იბრძვიან.

დღეს მას შეუძლია უცქიროს, როგორ აშენებენ საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი ქალები თავის ძმებთან და ქმრებთან ერთად სოციალიზმს, რომლის საქმეს მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.



ამხ. კლარა ცეტკინი.





## ჩვენნი ქმეზი მსოფლიოში

### ინგლისის პიონერების ყრილობა.

ამ ცოტა ხანში ლონდონში გაიხსნება ინგლისის ნორჩ ამხანაგთა ლიგის მეორე ყრილობა. ეს ყრილობა იქნება ინგლისის ნორჩ პიონერთა პასუხი ახლახან მიღებულ კანონზე, რომელიც კრძალავს კომუნისტურ მუშაობას სკოლაში.

ჯერ კიდევ 1927 წ. თებერვალში ნორჩ პიონერთა ცენტრალურმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ ყველა პიონერულმა სექციამ უნდა დააარსოს სასკოლო უჯრედები. მეორე ყრილობამ უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ იქნა შესრულებული ეს გადაწყვეტილება.

ყრილობაზე თვითეული სექცია აგზავნის წინამძღოლს, ერთ პიონერს თვითეული სექციიდან და ერთ პიონერსაც სკოლის უჯრედიდან.

კონფერენცია გაგრძელდება ორ დღეს, პირველ დღეს იქნება წინამძღოლთა თათბირი, ხოლო მეორე დღეს საერთო თათბირი—წინამძღოლების და პიონერების.

ამ ყრილობას თვითეული ჯგუფი და სექცია გააცნობს თავის მუშაობას და მიხწევებს, გარდა ამისა, ისინი გაარჩევენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ დაარსდნენ ყველა პროლეტარული ბავშვები ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის საბრძოლველად და როგორ დაეხმარონ ბავშვები მუშათა კლასს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

### ბავშვებისაც ეუზინათ.

ლონდონი. თემთა პალატაში კომუნისტმა საკლავალამ შეიტანა შეკითხვა, თუ რა საბუთით

იქნა უარყოფილი ექვსი ინგლისელი ბავშვის მშობლების შუამდგომლობა, რომ ბავშვებს მისცემოდათ პასპორტები საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლად კაკილონის და ვალახერის თანხლებით, მაშინ როდესაც ბოისკაუტების ჯგუფს ამასწინათ მიეცა პასპორტები გერმანიაში გასამგზავრებლად.


საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლემსონმა უპასუხა, რომ ბავშვების რუსეთში გამგზავრება ეწყობოდა კომუნისტური პროპაგანდის მიზნით, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

ბავშვთა დელეგაციის მდივანი მის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებებში ბავშვების საბჭოთა კავშირში გამგზავრების მიზნების შესახებ სწერს: „ბავშვთა დელეგაცია მოუწოდებს ინგლისელი მუშების შვილებს განაგრძონ ბრძოლა მთავრობის ანტისაბჭოთა კამპანიის და სამხედრო სამხადისის წინააღმდეგ, რომ წინააღმდეგენ ომს, რომლის გამოწვევას ცდილობს მთავრობა“.

ლონდონი. კონსერვატორმა დევისონმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა—იცის თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომ ის ინგლისელი ბავშვი, რომელთაც უარი ეთქვათ საბჭოთა კავშირში გასამგზავრებელ პასპორტებზე, გაემგზავრა საბჭოთა გემით ლენინგრადში; მოხელემ, რომელიც თვალყურს ადევნებს ემიგრაციას, მისცა თუ არა მათ გამგზავრების ნებართვა და რა ზომების მიღებას ფიქრობს მთავრობა, რომ მომავალში ასეთი შემთხვევა არ განმეორდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა ხეკინგმა უპასუხა: „მე ვიცი, რომ ბავშვები გაემგზავრენ საბჭოთა გემით. კანონში არ სწერია შეზღუდვა იმ





პირთათვის, რომლებიც სტოვებენ ინგლისის საზღვრებს. ამიტომ არც შინაგან საქმეთა მინისტრს, არც მის რომელიმე ხელქვეით მოხელეს არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩარეოდა ამ საქმეში და არავითარი თანხმობა მათი მხრით არ იყო საჭირო. პასპორტებზე უარი უთხრეს იმათ, ვისაც ასეთები ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

**პიონერები პოლონეთში.**

რადგანაც პოლონეთის მუშების ხელფასი ძლიერ უმნიშვნელოა, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოზე გავზავნონ თავიანთი მცირეწლოვანი ბავშვები.

ქვანახშირის ერთ-ერთ მალაროში, ზემო სილეზიაში, მუშაობს 6000 მცირეწლოვანი ბავში, არა უმეტეს 16 წლისა.

პოლონეთის მრეწველები, ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონენი, გასცდენ ყოველგვარ კანონებს, მათ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ 9-10 წლის ბავშვები. ამ ბავშვებს მუშაობა უხდებათ მეტად მძიმე პირობებში, როგორც დღისით, ისე ღამითაც.

არც სკოლებშია სანუგეშო მდგომარეობა.

პოლონეთში არის ორი სახის სკოლა: ერთი მდიდარ-მემამულეებისათვის (პანებისათვის), ეგრეთწოდებული გიმნაზია, და მეორე—სახალხო სკოლა ღარიბი ხალხისათვის.

პირველი ტიპის სკოლები საუკეთესოდ მოწყობილია, მეორე-კი მოთავსებულია სოფლის ქოხებში, სრულიად მოუწყობლად.

როგორ არის დაყენებული სწავლის საქმე „სახალხო“ სკოლაში?

სწავლების ყველაზე უფრო მიღებულ მეთოდად შემოღებული აქვთ გამოცდები. ყოველწლივით გაზაფხულზე, როდესაც იწყება საშინელი დრო გამოცდებისა, მთელ რიგ სკოლებში ადგილი აქვს თვითმკვლელობის შემთხვევებს.

პოლონეთში ცხოვრობს საკმაო რიცხვი ბელორუსებისა, უკრაინლებისა და სხვა მცირე ერებისა. მათი ბავშვები სწავლობენ მათთვის უცხო პოლონურ ენაზე, თავიანთ სამშობლო ენას კი სწავლობენ ისე, როგორც ჩვენს სკოლებში უცხო ენებს.

პოლონეთის კომკავშირმა ბავშვებს შორის მუშაობა მხოლოდ 1925 წლის თებერვლიდან დაიწყო. რასაკვირველია, კომკავშირს იქ მუშაობა ლეგალურ პირობებში არ შეუძლია, მას სასტიკად სდევნის მდიდარ-მემამულეთა ხელისუფლება. ამიტომ მისი მუშაობის ცენტრი გადატანილია იატაკ ქვეშ.

პიონერებსაც, როგორც კომკავშირის წევრებსაც ქვეშ უხდებათ მუშაობა. ზამთრობით ბავშვები თავს იყრიან კერძო საიმედო ოთახებში, კითხულობენ რევოლუციონურ ლიტერატურას, ბასობენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობაზე, ზაფხულობით კი ბავშვები თავიანთ მუშაობას ცის ქვეშ აწარმოებენ. ისინი საიდუმლოდ იკრიბებიან და სიფრთხილით თვალყურს ადევნებენ პოლიციელთა მოძრაობას.

პოლონეთის პიონერებმა კარგად იციან, რომ ისინი პიონერთა ორგანიზაციაში მუშაობენ, სასკოლო მაგიდებზე ჯდომის მაგივრად მათ მოუხდებათ ციხის გაღიებში ჯდომა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პიონერთა ორგანიზაციის რიგები თანდათან იზრდება და ძლიერდება.

**ჩეხეთის პიონერები.**

ამ რამოდენამე ხნის წინათ საბჭოთა კავშირის ცნობილი პოეტი მაიაკოვსკი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. მან ინახულა ჩეხეთ-სლოვაკეთიც. აქ ის გაეცნო ჩეხეთის პიონერების ცხოვრებას და მუშაობას. ყოველივე ეს შემდეგ მან აღწერა და გამოაქვეყნა მოსკოვის პიონერების გაზეთში. საინტერესოა ჩვენც გავეცნოთ, თუ რას სწერს მაიაკოვსკი:

— როდესაც მე საზღვარგარეთ მივდიოდი, მაშინ ჩემმა ნაცნობმა მოსკოველმა პიონერებმა დამაბარეს: „წასვლით წადი ევროპაში, ამხანაგო მაიაკოვსკი, მაგრამ როდესაც დაბრუნდები, მაშინ აუცილებლად უნდა გვიამბო იქაური პიონერების შესახებ“.

პირველად მე ვინახულე ჩეხო-სლოვაკეთი. ვიყავი მის სატახტო ქალაქში, პრაგაში, სადაც მისვლისთანავე ვთხოვე ამხანაგებს ეჩვენებინათ ჩემთვის იქაური პიონერები.


ამხანაგებმა მიპასუხეს:—„იმათი ძებნა არაა საჭირო, სადამოთი ისინი თვითონ მოვლენ თქვენს ლექციაზე“.

სადამოთი მე ვკითხულობდი ლექციას და ლექსებს სახალხო სახლში. მეტად მრავალრიცხოვანი ხალხი დაესწრო ჩემს საღამოს. მათ შორის ბლომად იყვნენ მოზრდილები და პიონერთა ასაკის ბავშვები.

ლექსების კითხვის დროს მე სულ ვათვალიერებდი დარბაზს: ბავშვები არიან, მაგრამ პიონერები არ სჩანან, არ იყო არც ერთი წითელი ყელსახვევი.

ლექციის შემდეგ მოდის ჩემთან ამხანაგი, რომელსაც თან ახლავს ორი ბავში. მე ვეკითხები მას:





— სად არიან შენი პიონერები?  
 მაშინ ორივე ბავშვა ერთად მიპასუხა:  
 — პიონერები ჩვენ ვართ...

— კი, მაგრამ წითელი ყელსახვევები რატომ არ გაქვთ?

ერთმა მათგანმა ცოტა ხნის ძებნის შემდეგ ამოიღო ჯიბიდან წითელი ყელსახვევი.



ძალით ჩამოგვავლიჯეს წითელი ყელსახვევი.

— აი ესეც, სახლში ვიკეთებთ მას, ხოლო როდესაც ქუჩაში გამოვალთ, მაშინ ჯიბეში ვინახავთ, რადგანაც, თუ დაგვინახა პოლიციამ, წაგვართმევს და მაგრადაც გვცემს. ერთხელ ჩემ ძმასთან ერთად წავედი მუშათა თეატრში. ჩემი ძმა „ლურჯხალათიანებში“ თამაშობდა, სდგამდენ პიესას „კრამაჟის ტირილი“. კრამაჟი წინათ რუსი ბურჟუა იყო. ბოლშევიკებმა მას ყირიმში აგარაკები ჩამოართვეს და იქ მოაწყვეს მღვთებისათვის სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. კრამაჟი ამაზე გაბრაზდა და გაემგზავრა პრაგაში, შეაგროვა თავისი ფაშისტების პარტია, ლანძღავს საბჭოთა კავშირს, აგიტაციას სწევს ბოლშევიკების წინააღმდეგ, საღამოობით კი ცოლთან ერთად დაკარგული აგარაკის შესახებ სტირის.

ჩვენი კომკავშირელი-ლურჯხალათიანებიც მას აბრაზებენ.

დამსწრეები ძლიერ მხიარულად არიან. ყველანი იცინიან. მხოლოდ პოლიციელებს არ სიამოვნებს ეს.

წარმოდგენის შემდეგ ვბრუნდებით შინ. მუწითელი ყელსახვევით და ძმა ხალათით. მხოლოდ წელსად და თავზე წამოგვადგა პოლიციელი.

— წამოდით პოლიციაში, - გვეუბნება ის, - რა ხალხი ხართ თქვენ, რომ ასეთ ფორმაში დადინხართ?.

— ჩვენ კი ვუპასუხეთ:

— ჩვენ კომუნისტები ვართ. ჩვენი ქვეყანა თავისუფალია და როგორც გვინდა, ისე გავივლით.

პოლიციელი დაგვეუქრა და გვიხბრა:

— კომუნისტური საქმეები, მარტო თქვენს სახლში შეგიძლიათ აკეთოთ. ქუჩებში კი ჯერ ჩვენ ვართ უფროსები. გაიხადეთ ფორმა.

ჩვენ არ დავემორჩილეთ მათ ასეთ განცხადებას. მაგრამ ისინი დაგვესხენ და ძალით ჩამოგვავლიჯეს წითელი ყელსახვევი. ძმასაც გახადეს ხალათი.

ასე წავედით შინ. მე კილევ არაფერი და ძმას კი სპორტული სათბურით მოუხდა ორი ვეჯის გავლა.

— ეგ არაფერია, - ვეუბნები მე იმათ, - მოდით ჩვენთან მოსკოვში და იქ კარგად და თავისუფლად იცხოვრებთ.

მაგრამ ბავშვებმა სრულიად სამართლიანად მიპასუხეს:

მოსკოვის შესახებ ჩვენ ყველაფერი ვიცით. საქაროა პრაგაშიც მოვიპოვით მოსკოვისთანა თავისუფლება. ჩვენი ქვეყანა თქვენს ქვეყანაზე ათჯერ უფრო პატარაა, მაგრამ ჩვენ უკვე ორიათასი პიონერი გვყავს, ხოლო წითელ სპორტინტერნის სექციაში უკვე 30.000 ბავშვა. ჩვენ მათ შორის ვმუშაობთ. ვისაც კი გავაცნობთ, თუ ვინ არიან პიონერები, ისინი მაშინვე სიამოვნებით ეწერებიან ჩვენს ორგანიზაციაში. ბევრი კომუნისტი გვეზრდება ჩვენ.

პრაგიდან წამოსვლის დროს მათ დამაბარეს, რომ საღამო ვადმომეცა საბჭოთა ქვეყნის პიონერებისათვის. გამომატანეს აგრეთვე თავისი ჟურნალი, რომელსაც „მამალი“ ეწოდება.

— ასე ასრულებს თავის წერილს მიაკოვსკი.

ამ ცნობაში ნათლად სჩანს, თუ როგორ მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა საზღვარგარეთის პიონერებს.





# გ ა ნ ა კ ი

## წერილი მეორე

პიონერთა კოლექტივი დიდი ყურადღებით უნდა მოეპყროს ბანაკის გეგმის შედგენას. ამ მიზნით საჭიროა კოლექტივის საბჭოს სხდომის მოწვევა, რომელზედაც დასული უნდა იქნეს საკითხი ბანაკში მუშაობის გეგმის შესახებ. კოლექტივის საბჭოს უნდა ახსოვდეს, რომ ბანაკის ამოცანას და მიზანს შეადგენს **ლენინის ანდერძის შესრულება — კომკავშირისათვის ჯანსაღ შემცვლელთა მომზადება. გლეხურ ბავშვთა შორის მუშაობა, ფაბრიკა-ქარხნების მუშათა შეუკავშირებელ ბავშვებს შორის მუშაობა, ბუნებასთან დაკავშირება და მისი გაცნობა, კოლექტიური წესების და ჩვეულებათა შეთვისება, მუშაობის განაწილება.**

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ კოლექტივის შეკრებაზე ყველა პიონერი უნდა გაეცნოს ბანაკის მუშაობის გეგმას, რომ ყველა მათგანმა იცოდეს, თუ როგორი მუშაობა მოუხდება მას მომავალში. შემდეგ კოლექტივის საბჭო ასახელებს ბანაკად გამგზავრების დროს. ბანაკად გასვლა დასაშვებია მისის ბოლოდან სექტემბრის დასრულებამდე. რომ ბავშვები მიეჩვიონ ბანაკში ცხოვრების პირობებს, საჭიროა წინასწარ რამოდენიმე ექსკურსიის მოწყობა (დამის გათევით). ამგვარი ექსკურსიის დროს წინამძღოლი კოცონთან მოაწყობს საუბარს და მისი საშუალებით პიონერები ეცნობიან ბანაკის ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს.

კოლექტივის ერთ-ერთი რგოლი, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალი ბანაკის ადგილის დათვალიერება, მიემგზავრება დანიშნულ ადგილზე. სასურველია, ბანაკი მოეწყოს რომელიმე სოფლის ან აგარაკის მახლობლად, რადგან ეს მისცემს პიონერებს საშუალებას გაეცნონ და დაუახლოვდნენ გლეხების ყოფა-ცხოვრებას და კერძოდ გლეხთა ბავშვებს. ბანაკის მოსაწყობად არ არის საჭირო კარვების გამართვა. უმჯობესია პიონერების მოთავსება საცხოვრებელ სახლში.

კარავი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ სამზარეულოსა და სასადილოსათვის.

ბანაკის გასამართავი ადგილი არ უნდა იყოს ნესტიანი, მის მახლობლად არ უნდა იყოს მოთავსებული ქაობი, სანავევე ორმო, საპირფარეშო და ჰაერის მომწამლავე სხვა წყარო.

ბანაკად გასვლამდე უნდა მოხდეს ყველა პიონერის ჯანმრთელობის შემოწმება. ავადმყოფ და გა-

დამცებ სნეულებით შებყრობილ ბავშვთა ბანაკად წაყვანა დაუშვებელია.

საექიმო გასინჯვის ჩატარების შემდეგ საჭიროა მოვალეობათა განაწილება რგოლებს შორის. ეს ასე ხდება: ერთ რგოლს დაევალება ბანაკის მომზადება, მეორეს — საჭირო ინვენტარის დამზადება, მესამეს — ბანაკის ახლომახლო მდებარე ადგილების შესწავლა, მეოთხეს — ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირის გაბმა.

ამასთანავე ბანაკში გასვლამდე არჩეულ უნდა იქნეს სამეურნეო და სასანიტარო კომისიები, გამგზავრების წინ უნდა გადათვალიერდეს წასაღები დამზადებული ნივთები, რომ არაფერი იქნეს დატოვებული. შედგენილი უნდა იქნეს აგრეთვე მთელი ქონების სია. გადაზიდვის დროს ნივთების ყურისგდება ცალკე რგოლებს უნდა მიენდოს.

### ვინ განაგებს ბანაკის ცხოვრებას?

თუ ბანაკად მხოლოდ ერთი კოლექტივია, მაშინ მის ცხოვრებას კოლექტივის საბჭო განაგებს, იმავე სახით, როგორითაც ქალაქში ყოფნის დროს. და თუ ბანაკად რამოდენიმე კოლექტივია წასული, მაშინ ბანაკის მთელ ცხოვრებას განაგებს **ბანაკის გაერთიანებული საბჭო** (ყველა კოლექტივის საბჭოებისაგან შემდგარი). ასეთი საბანაკო საბჭოს დაარსება არ ნიშნავს ცალკე კოლექტივების საბჭოების მოსპობას. ეს უკანასკნელები განაგრძობენ თავის ჩვეულებრივ მუშაობას და სწყვეტენ კოლექტივის შინაური ცხოვრების საკითხებს. საბანაკო საბჭო კი სწყვეტს საერთო ხასიათის და მნიშვნელობის საკითხებს.

ბანაკად საჭიროა მხოლოდ ორი კომისიის დაარსება:

- 1) სასანიტარო და 2) სამეურნეო.

**სასანიტარო კომისია** თვალყურს ადევნებს სისუფთავეს, ამყარებს მთელ ბანაკში ჰიგიენურ-სანიტარულ წესებს, კავშირს აბამს უახლოეს საავადმყოფოსთან ან საექიმო პუნქტთან და სხ. ხსენებულ კომისიაში სასურველია ექიმის მონაწილეობა.

**სამეურნეო კომისიის** ამოცანას შეადგენს ბანაკის ინვენტარის ყურისგდება. ეს კომისია აწარმოებს მორიგეობას სამზარეულოში, საწყობში და პიონერთა საცხოვრებელ ბინებში.





საუბარი კოცონთან.

**როგორ უნდა მოვაწყოთ ბანაკი?**

პიონერთა მოთავსება ბანაკად უმჯობესია დახურულ ბინებში. თუ პიონერები რამოდენიმე შენობაში იცხოვრებენ, სასურველია, რომ ეს ბინები ერთმანეთისაგან დაშორებული არ იყოს.

სასურველია ამბულატორია, სასადილო და სამზარეულო კარავში მოეწყოს.

**დასაწოლი ოთახი.** დასაწოლი ოთახი ხშირ-ხშირად უნდა სუფთავდებოდეს. დღისით ფანჯრები გაღებული უნდა იქნეს. თვითვე პიონერს უნდა ჰქონდეს ცალკე საწოლი და საწოლთან ტანსაცმელის ჩამოსაკიდებელი. ოთახში უნდა იდგეს საფურთხი.

**სასადილო ოთახი.** სასადილოსათვის ყველაზე უმჯობესია კარავის მოწყობა. კარავში უნდა იდგეს გრძელი მაგიდა და სკამები. სუფრის გაწყობა და სადილის მიწოდება მორიგეობით უნდა ხდებოდეს.

**სამზარეულო.** თუ ბინას, სადაც პიონერები ცხოვრობენ, არ მოეპოვება სამზარეულო, საჭიროა დროებით მარტივი სამზარეულოს მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება საქმელის დამზადება. რომ კვამლი ჰაერს არ სწამლავდეს, საჭიროა სამზარეულოს მოწყობა საცხოვრებელი ბინებისაგან ცოტა მოშორებით.

მ. გორგაძე.

**ზ ა ჰ ე ს ი**

„სოციალიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება—ელექტროფიკაცია“.

ასე გამოსახა ვ. ი. ლენინმა სოციალისტური მშენებლობის სული.

მშრომელთა ხელისუფლებამ უნდა ასწიოს მთელი მხარე ტენიკის უმაღლეს მწვერვალამდე. მან სავსებით უხდა დაიმორჩილოს ბუიების ძალები და მაშინ სწრაფად განხორციელდება სოციალიზმი.

ეს ცხადი იყო ვ. ი. ლენინისათვის და ამიტომაც სთქვა: „სოციალიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება—ელექტროფიკაცია“.


სოციალისტური რესპუბლიკების ელექტროფიკაციას ლენინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი კავშირის ელექტროფიკაციისათვის დიდი პროგრამა გამოიმუშავა, რომლის ნაწილი უკვე განხორციელებულია და თანდათან მოდის სისრულეში. ამ გამოიმუშავებული პროგრამის მთავარ მიხედვად უნდა ჩაითვალოს „ზაჰესი“ და „ვოლხოვსტროი“.

„ვოლხოვსტროი“ აწვდის ელექტროენერგიას მთელ ლენინგრადს და ლენინგრადის მრეწველობას.

„ზაჰესს“ მოაქვს შუქი საქართველოს გულში, ტფილისში, და ტფილისის მთელი რაიონისათვის.





ქართული  
საბჭოთაო  
დემოკრატიული  
რევოლუციური  
პრესა

„ვოლხოვსტროი“ ანთავისუფლებს ლენინგრადის მრეწველობას უცხოეთის სათბობი მასალის დამოკიდებულებისაგან, სწევს წინ და ანვითარებს მთელი კავშირის უდიდესი ცენტრის მრეწველობას, „ზაჰესმა“ კი უნდა გამოაღვიძოს საქართველოს მრეწველობა.

აუარებელი სიმდიდრეა ჩვენ რესპუბლიკაში:

უზარმაზარი ტყეები, ძვირფასი ჯიშის ხეები, აუარებელი მარაგი მიწის გულში: ნავთი, ლიტოგრაფიის ქვა, ინფუზორიტი, მარგანეცი, ბარიტი, მარმარილო და სხვა მრავალი მთის ჯიშის ძვირფასი განძი.

ავილოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ტყავი, მატყლი, ყურძენი, რძე და სხ.

ტექნიკური კულტურიდან: კანაფი, ბამბა, აბრეშუმი და სხვა.

მაგრამ მთელი ეს სიმდიდრე აქამდის მკვდარი კაპიტალი იყო.

მეფის მთავრობა არ იძლეოდა შესაძლებლობას, რომ საქართველოში განვითარებულიყო მრეწველობა.

ათასი წლების განმავლობაში მიაგორებდა მტკვარე თავის ტალღებს კასპიის ზღვაში. ათასი წლების განმავლობაში რწყავდა ის საქართველოს ველ-მინდვრებს.

ბევრჯერ გამოიცვალა მან თავისი კალაპოტი, ბევრჯერ გაზაფხულის მღელვარე წყალდიდობის დროს წაუღვია ყანები, დაუნგრევია ხალხის ბინები.


ვინ იფიქრებდა, რომ ხალხი დაიმორჩილებს ძლიერ მდინარეს, ჩააყენებს მას ხელოვნურ კალაპოტში და თავის მოსამსახურედ გახდის.

ახლა კი ეს სწორედ ასე მოხდა.

მცხეთასთან აღმართულია უზარმაზარი კაშხალი და ჯგბირები, და შექმნილია ხელოვნური ტბა.

აქ დაგუბებული მტკვრის წყალი ეშვება მუშების ხელებით გათხრილ ხელოვნურ ქარხში და მიისწრაფის უზარმაზარი მანქანებისაკენ, ამოძრავებს და ატრიალებს მანქანებს, აძლევს მათ ელექტრო-ენერგიას.

მერე ცოტა კი არ არის ეს ენერგია, ის უდრის 36,000 ცხენის ძალას.



მთავარი საგუბარი.

მხოლოდ ახლა შეუძლია სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკას სავსებით ისარგებლოს ამ სიმდიდრით მშრომელ მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოდ.

ამისათვის საჭიროა ძლიერი ენერგია, ისეთი, რომელიც ამოძრავებს ქარხნებსა და ფაბრიკებს, აანთებს და აავუგუნებს ფაბრიკის უზარმაზარ ლუმელებს და ქურებს.

მაგრამ ამ ენერგიითაც ხომ მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ათასობით ჩვენი მთების ნაკადები არის სწორედ ამ ენერგიის დაუშრეტელი წყარო.

წყალი, რომელიც უსასყიდლოდ მირბის ჩვენ მინდვრებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას გასანათებლად და სათბობად, ქარხნებისა და სახელოსნოების ასამუშავებლად.

ამის დასაწყისი უკვე არის!  
და მერე როგორი დასაწყისი!

ანათებს მთელ ტფილისს და ირგვლივ მთელი ტფილისის მიდამოებს.

ყველა არსებულ ქარხნებს ამოძრავებს ეს ძალა, მაგრამ ეს ცოტაა. ის მთელი რიგი წლების განმავლობაში საყოფი იქნება, რომ ამოძრავოს ტფილისის ახლომახლო მდებარე რაიონები.

ზაჰესის ენერგია იქნება მასაზრდოვებელი მაუდის ფაბრიკისა ტფილისში, ცემენტის ქარხნისა კავთისხევში და ხის დასამუშავებელი ქარხნებისაც მცხეთაში.

ზაჰესის ენერგია ამოძრავებს აგრეთვე ქალაქის ახლომახლო საავარაკო რკინის გზებსაც -- ტფილის-კოჯრისას და სხვ.

ამ ენერგიამ უნდა ასაზრდოოს ტფილის-ბორჯომ-ბაკურიანის გზაც მომავალში. განზრახულა აგრეთვე ელექტროფიკაციაზე გადაყვანა სურამის უღელტეხილის რკინის გზისაც. ამ გზების ელექტროფიკაციის შემდეგ უნ-



და შეიქმნას სხვა გზები და ყველას უნდა მიაწოდოს ენერჯია ზაჰესმა.

და პატარა სოფელი ზემო-აეჭალა, რომელსაც მხოლოდ იქაური მცხოვრებლები იცნობდნენ, ახლა მთელ ს. ს. რ. კავშირში და უცხოეთშიაც ცნობილია.

მაგრამ ზაჰესიც ხომ დასაწყისია დიდი საქმის.

ზაჰესის დასრულების შემდეგ უკვე იწყება რიონის ჰიდრო-სადგურის შენება და მრავალ სხვა ადგილას სხვა სადგურების.


საქართველოს ელექტროფიკაცია ახალ ხანას იწყებს საქართველოს ცხოვრებაში.

დაუცხრომელმა, მედგარმა შრომამ შეჰქმნა ზაჰესი.

საქართველოს მშრომელთა კლასის დაუცხრომელი და მედგარი შრომა შეჰქმნის სხვა სადგურებსაც.

ტეხნიკა ადამიანის მორჩილი მოსამსახურე რჩება. ადამიანის შრომა იმორჩილებს ბუნებას და თავის მოსამსახურედ ხდის მათი ნაკადების მქუხარე ჩანჩქერებსა და ტალღებს.

და აღარ არის ძალა ქვეყნიერებაზე, რომელსაც



გენერატორი.

შეეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს და არ დაემორჩილოს მშრომელი ხალხის შეკავშირებულ შრომას...

26 ივნისს მოხდა ზაჰესის საზეიმო გახსნა. ეს დღე გადაიქცა საქართველოს მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციონური ზეიმის და აღფრთოვანების დღესასწაულად.

კ. ლეო.

# თაუაუბანი



## გაფიცვა და ამბოხება.

მოთამაშეთა რიცხვი: 20-დან 50-მდე.

სათამაშო ადგილი: მოედანი 20—40 მეტრამდე სიგრძით და 20—30 მეტრამდე სიგანით. მინდორი, დიდი დარბაზი.

მოთამაშეთა განაწილება: მოედნის ორივე თავში, 1—2 მეტრის დაშორებით საზღვრიდან, ხაზებით აღინიშნება ადგილები მოთამაშენი იყოფიან მუშებად და კაპიტალისტებად. მუშები დგებიან ერთ-ერთ ფაბრიკაში, ხოლო კაპიტალისტები შუა მინდორზე. ეს თამაში ანსახიერებს რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარებას (1905 წელი),

როდესაც საერთო გაფიცვამ 1905 წლის ოქტომბერში შეიარაღებული ამბოხების ხასიათი მიიღო (1905 წლის დეკემბერი, მოსკოვი).

თამაშის ბოლო წარმოადგენს 1917 წლის ოქტომბერში მომხდარ ამბებს, ე. ი. პროლეტარიატის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე.

თამაშის აღწერა: მუშების ამოცანას შეადგენს საერთო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობა, რისთვისაც ისინი სტოვებენ მუშაობას თავის ფაბრიკაში და გადარბიან მეორე ფაბრიკაში ავიტაციის საწარმოებლად. კაპიტალისტები ეწინააღმდეგებიან ამას და დალავენ გაქცეულებს, რის შემდეგ დადალული უნდა დაბრუნდეს თავის ფაბრიკაში.





ისინი, რომლებიც მოახერხებენ მეორე ფაბრიკაში გადარბენას, ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელებს და დგებიან შუა ეზოში ორ წყებად. ეს ორი წყება თითქოს დერეფანს წარმოადგენს: მოთამაშეები და შორებულნი არიან ერთმანეთიდან ერთი ან ორი მეტრით და გაჩერებულნი არიან შოედანზე პირდაპირ გაყვანილი ხაზის გასწვრივ. ხსენებული ორი წყება გაფიცვის კომიტეტს წარმოადგენს.

ახლა, როდესაც დაარსდა კომიტეტი, იმ მუშებს, რომლებიც გადარბიან ერთი ფაბრიკიდან მეორეში, შეუძლიათ შეფარონ თავი გაფიცვის კომიტეტს, სადაც მათი დადაღვა აღარ შეიძლება. მაგრამ როდესაც ისინი გამოვლენ კომიტეტებიდან, კაპიტალისტებს შეუძლიათ მათი დადაღვა. ის მუშები, რომლებმაც დაუდალავად მიახწიეს მეორე ფაბრიკამდე, დგებიან გაფიცულთა რიგებში და ამრავლებენ მათ რიცხვს.

გადარბენა გრძელდება მანამდე, სანამ ყველა მუშა არ დადგება გაფიცვის კომიტეტების რიგებში, რის შემდეგ ყოველი წყება ხელებჩაკიდებული დაიწყებს კაპიტალისტების ჭერას. კაპიტალისტები გარბიან; მათ შეუძლიათ ხელებ ქვეშ გაძვრენა, გადახტომა ხელებზე მანამდე, სანამ განაპირა მოთამაშეების ხელები არ შეერთდება და არ შესდგება რკალი, რომლისგან კაპიტალისტებს გაქცევა აღარ შეუძლიათ. დაჭერილი კაპიტალისტები დამარცხებულად ითვლებიან და გამოდიან თამაშიდან. თამაში თავდება მაშინ, როდესაც მუშები დაიჭერენ ყველა კაპიტალისტს.

**თამაშის წესები:** 1. ფაბრიკაში მირბიან ყველანი ერთად.

2. ისინი, რომლებმაც გაქცევა მოახერხეს, უცდიან შეჩერებული ამხანაგების გამოქცევას და მხოლოდ ამის შემდეგ დგებიან კომიტეტის რიგებში.

3. გაქცეულ მუშებს არ შეუძლიათ უკან დაბრუნება.

4. კომიტეტებიდან ბრუნდებიან ყველანი ერთად.

5. კომიტეტებში მყოფი ამხანაგების დადაღვა არ შეიძლება.

**ჩინეთი აჯანყდა.**

**მოთამაშეთა რიცხვი:** 20-დან 100-მდე.

**სათამაშო ადგილი:** მოედანი, მინდორი.

**მოთამაშეთა განაწილება:** მოთამაშეები გამოყოფენ 20 კაცს, რომლებიც წარმოადგენენ ჩინეთის დამაჯრულ მუშებს. დანარჩენები შეადგენენ ორ წრეს: შინა-წრეს და გარე-წრეს. გარე-წრას მოთამაშეები დგებიან 2-3 მეტრის დაცილებით ერთიგეორესაგან და წარმოადგენენ ჩინეთის რევოლუციონერებს. შინა-წრის მოთამაშეები, ხელი-ხელჩაკიდებულნი, პირით რევოლუციონერებისკენ, ჩინეთის პოლიციას წარმოადგენენ (ჩანძოლინის ჯარით). დამაჯრული მუშები იმყოფებიან შინა-წრის შუაში.

**თამაშის აღწერა:** ხელმძღვანელის ნიშანზე ის მოთამაშეები, რომელნიც წარმოადგენენ რევოლუციონერებს, მავარდებიან პოლიციელებთან და ცდილობენ მიახწიონ იმ ადგილს, სადაც არიან დამაჯრული მუშები აჯანყების მოსახდენად. პოლიცია ხელს უშლის მათ და პოლიციელები ხელების აწევით არ უშვებენ რევოლუციონერებს მუშებთან. მაგრამ როდესაც წინასწარ ამორჩეული რევოლუციონერების მეთაური მოახერხებს მუშების ნაწილში გასვლას, ის ყვირის: „ძირს კაპიტალის უღელი“. მაშინ პოლიცია გარბის ყველა მხარეს. რევოლუციონერები და განთავისუფლებული მუშები მისდევენ მათ და დაღვენ. დაჭერილი იჩოქებს, თამაშის გათავებამდე დგას ასე მუხლშეცვლით.

თამაში თავდება მაშინ, როდესაც ყველა პოლიციელი დაიჩოქებს.

**ს ი მ ს ე რ ი**

4		ქ		3		კ		8
	დ	კ			ი			
დ		ა			მ	ქ		

- 2 — ყ 10 — ე 15 — ა 11 — ი 2 — კ 3 — ბ
- 4 — ვ 3 — უ 2 — ქ 3 — შ 7 — რ 1 — ც
- 2 — ტ 3 — ო 6 — ნ 2 — თ 6 — გ 1 — ფ
- 3 — დ 4 — ლ 3 — ს 2 — მ 2 — ზ

ეს ასოები ისე უნდა დალაგოთ უჯრედებში, რომ გამოვიდეს თილიჩის ლოზუნგი. ყოველი სიტყვის პირველი ასო არის უჯრედში ჩასმული.



გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საზოგადოებრივი დასუკრათიბული

— ჟურნალი —

მოზრდოთათვის

# პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლებიისათვის სავალდებულოა.

ლენინის სხსელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და საძკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

## — პიონერი —

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისაგართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი—23--16

რედაქტორი — სარკელაქციო კოლაბია.